



ევროკავშირი
საქართველოსთვის



სამომავლო
საზოგადოების
ინსტიტუტი



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკანონმდებლო გარემო საქართველოში

(2023-2024 წლების
ქირითაღი სვლიდაბაი
და ტანდენსიები)

თბილისი 2025 © CSI

Civil Society STAR Initiative
სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკანონმდებლო გარემო საქართველოში (2023-2024 წლების ძირითადი ცვლილებები და ტენდენციები)

20 იანვარი, 2025 წელი

ავტორი:
ლევან ფანიაშვილი



ევროკავშირი
საქართველოსთვის



სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

Civil Society STAR Initiative სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

კვლევა შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებულებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.



სარჩევი

შესავალი	2
I. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი - ე.წ. „რუსული კანონი“	3
1.1. კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება.....	3
1.2. კანონით გათვალისწინებული რეგულირება	4
1.3. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები კანონთან დაკავშირებით	11
1.4. კანონის გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	16
II. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზი.....	21
2.1. რეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობა და რეესტრაციის მისამართი მუნიციპალურ ჭრილში	21
2.2. რეგისტრირებული ორგანიზაციების საქმიანობის მიზნები და მიმართულებები....	25
III. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების არსებული მექანიზმები.....	27
IV. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მარეგისტრირებელი კანონმდებლობა	31
V. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონმდებლობა - ე.წ. „ანტი-ლგბტ“ კანონმდებლობა	32
5.1. კანონმდებლობის მიღება	32
5.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირება	32
5.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებები და დასკვნები	38
VI. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შემზღვეველი საკანონმდებლო ცვლილებები	42
6.1. კანონმდებლობის მიღება	42
6.2. ცვლილებებით გათვალისწინებული რეგულირება.....	42
6.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებები.....	45
VII. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება.....	46
7.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები	46
7.2. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების შესახებ ახალი ინიციატივა და მისი რისკები	
48	
VIII. ძირითადი მიგნებები და დასკვნები.....	50

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მიმოიხილოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებული საარსებო გარემო საქართველოში, ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. კვლევა მოიცავს 2023-2024 წლებში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს ან /და ამ პერიოდში მოქმედ საკანონმდებლო რეგულირებას, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოზე. შესაბამისად, ეს დოკუმენტი არ მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოსთან დაკავშირებული ყველა ასპექტის სრული კანონმდებლობის აღწერას, არამედ ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ საკვლევ პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე.

საკვლევად 2023-2024 წლების არჩევა გამოწვეულია იმით, რომ ეს პერიოდი გამოირჩეოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს შემზღვეველი კანონმდებლობის მიღებით, რომლის განსაკუთრებულ ნაწილსაც შეადგენს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რომელიც ცნობილია ე.წ. „რუსული კანონის“ სახელწოდებით. კვლევა მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორცაა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების არსებული საკანონმდებლო მექანიზმები; ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის კანონმდებლობა; შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებები; საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების ინიციატივა.

კვლევა მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოსთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების აღწერას, აგრეთვე ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დასკვნებს/შეფასებებს. კვლევაში ასევე მოცემულია სხვადასხვა ოფიციალურ წყაროებში არსებული სტატისტიკური მონაცემები, რაც დაკავშირებულია საკვლევ პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან.

1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი - ე.წ. „რუსული კანონი“

1.1. კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება

2024 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი,¹ რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეწოდა ე.წ. „რუსული კანონი“. ამ კანონით გათვალისწინებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების სპეციალური რეესტრის შექმნა, შესაბამისად არასამეწარმეო იურიდიული პირები და მედია ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ამ რეესტრში და წარადგინონ შესაბამისი საფინანსო დეკლარაცია. კანონით აგრეთვე გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგის განხორციელების, მონიტორინგის მიზნობრიობით ნებისმიერი პირიდან განუსაზღვრელი მოცულობის ინფორმაციის მოძიების, კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით მაღალი ჯარიმების დაკისრების და სუბიექტის ამ რეესტრში იძულებითი რეგისტრაციის მექანიზმები.

საქართველოს პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებული კანონი, საქართველოს პრეზიდენტმა 2024 წლის 18 მაისს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა საქართველოს პარლამენტს.² პრეზიდენტმა მიუთითა, რომ კანონის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო და იგი მთელი თავისი შინაარსით არაკონსტიტუციურია (პრეზიდენტი მიუთითებდა საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ მუხლებზე: მუხლი 22 - გაერთიანების თავისუფლება; მუხლი 15 - პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები; მუხლი 11 - თანასწორობის უფლება; მუხლი 78 - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია). საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები და 2024 წლის 28 მაისს დაამტკიცა კანონი თავდაპირველი რედაქციით. კანონს ხელი არ მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა და იგი 2024 წლის 3 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კანონის პრაქტიკაში აღსასრულებლად საჭირო ნორმატიული აქტები მიიღო. 2024 წლის 29 ივლისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი ერთეული, ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომელსაც, სხვა უფლება მოვალეობებთან ერთად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის“ წარმოება დაევალა, ხოლო ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელი განისაზღვრა მონიტორინგის განმახორციელებელ და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად.³ 2024 წლის 1 აგვისტოს გამოცემული იქნა საქართველოს

¹ იხილეთ საკანონმდებლო მაცნეზე: <https://www.matsne.gov.ge/document/view/6171895?publication=0>

² კანონის არსებითად მიუღებლობისა და კონსტიტუციასთან არსებითი წინააღმდეგობის მოტივით, საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნა მოიცავდა კანონზე ერთი მუხლის დამატებას, რომლის მიხედვითაც კანონი იმოქმედებდა მხოლოდ ერთი დღით. იხილეთ პრეზიდენტის შენიშვნები - <https://www.parliament.ge/legislation/28582>

³ საკანონმდებლო მაცნე. 2024. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 29 ივლისის ბრძანება №1016. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6234258?publication=0>

იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს კანონის ფარგლებში შექმნილი რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესებს.⁴

1.2. კანონით გათვალისწინებული რეგულირება

კანონის მიხედვით შეიქმნა სპეციალური ციფრული რეესტრი **„უცხოური ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციათა რეესტრის“** სახით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.⁵ ამ რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს ყველა ის იურიდიული პირი რომელიც აკმაყოფილებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის კრიტერიუმებს. ამასთან, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად მიჩნევისთვის განმსაზღვრელი კრიტერიუმია **გარკვეული ოდენობის შემოსავლის მიღება უცხოური ძალიდან**. არ აქვს მნიშვნელობა შემოსავლის წყაროს ქვეყანას, შემოსავლის გამგემი ინსტიტუტის სტატუსს, შემოსავლის მიღების მიზანს და საქმიანობას რისთვის მოხდა ამ შემოსავლების გამოყენება. შესაბამისად, ამ რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება ნებისმიერი მიზნის მქონე ორგანიზაცია (მათ შორის მაგალითად, სოციალური სერვისების გამწევი ორგანიზაცია, კულტურის შენარჩუნება-განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაცია, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაზე მომუშავე ორგანიზაცია, სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი ორგანიზაცია და სხვა) და ნებისმიერი უცხოური წყაროდან შემოსავლის მიმღები ორგანიზაცია (მათ შორის მაგალითად, უცხოურ წყაროდ ჩაითლება ის საერთაშორისო ორგანიზაცია რომლის წევრიც თავად საქართველოა). შესაბამისად, თუ ორგანიზაცია შემოსავლის შესაბამის ოდენობას იღებს უცხოური ძალიდან, ამ კანონის მიხედვით, აპრიორი იგულისხმება, რომ ეს ორგანიზაცია **ატარებს უცხოური ძალის ინტერესებს**.

მიუხედავად არსებითად ახალი რეგულირებისა და ახალი ვალდებულებებისა, რომელიც ორგანიზაციებს მანამდე არ ეკისრებოდათ, ამ კანონის მიხედვით რეგისტრაციის ვალდებულება ორგანიზაციებს დაეკისრათ კანონის მიღებიდან არა მხოლოდ მომავალი პერიოდისთვის, არამედ ასევე წარსული პერიოდის მიხედვით. კერძოდ, ორგანიზაცია რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს ამ კანონით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია 2024 წელსვე დარეგისტრირდეს ამ რეესტრში (2023 წლის კალენდარული წლის მონაცემების მიხედვით). აქედან გამომდინარე, კანონი **უკუძალით გავრცელდა წარსულ ურთიერთობებზე**, შესაბამისად, ამ რეესტრში რეგისტრაციის მიზნისთვის ორგანიზაციებს მოუწევთ ინფორმაციის იმ ფორმით და იმ მოცულობით დამუშავება, რომლის ვალდებულებაც მანამდე მათ არ გააჩნდათ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის კი ორგანიზაციებს დაეკისრებათ მარალი ჯარიმები. ამასთან, აღსანიშნავია რომ ამ რეესტრში რეგისტრაციისთვის ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ საფინანსო დეკლარაცია რომელიც

⁴ საკანონმდებლო მაცნე. 2024. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №1019. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0>

⁵ ამ მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი. დეპარტამენტის ამოცანებია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოება და საჯაროობის უზრუნველყოფა, აგრეთვე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მხარდაჭერა. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი: <https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub>

შედგება 11 დანართი ფორმისგან და მოიცავს დეტალურ ინფორმაციის ორგანიზაციის შემოსავლების, გაწეული ხარჯების, ორგანიზაციის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

კანონი ითვალისწინებს იუსტიციის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ნებისმიერ დროს (6 თვეში ერთხელ), მათ შორის თავისი ინიციატივით, მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობას, რომლის დროსაც მას აქვს ნებისმიერი პირისგან, ნებისმიერი კატეგორიის ინფორმაციის მოძიების/მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის დადგენილია დიდი ოდენობის ჯარიმები, რომელს დაკისრებაც გრძელდება, პირის მიერ ხარვეზის გამოსწორებამდე. ამასთან, გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში არ აჩერებს მის მოქმედებას, რაც გულისხმობს მათ შორის დაკისრებული ჯარიმების აღსრულების პროცესის გაგრძელებას სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციის განმარტება

კანონის მიხედვით უცხოური ძალის ინტერესის გამტარებელი ორგანიზაცია, არის ნებისმიერი არასამეწარმეო იურიდიული პირი (გარდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შექმნილი, სპორტულ ფედერაციები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება), რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა. აგრეთვე ნებისმიერი მაუწყებელი, ან მედია საშუალებების მფლობელი იურიდიული პირი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა. ***ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა შემოსავლის მიღების მიზანს და საქმიანობას რისთვის მოხდა ამ შემოსავლების გამოყენება. უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად მიჩნევისთვის ამოსავალია შემოსავლის წყარო, ანუ შემოსავლის პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება უცხოური წყაროდან.*** კერძოდ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:

- ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, ან ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;
- ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.

უცხოური ძალის განმარტება

კანონის მიხედვით უცხოურ ძალად ითვლება *ნებისმიერი სუბიექტი რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოში ან ფიზიკური პირი რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა*. კერძოდ, უცხოურ ძალა არის: ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი; ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე; გ) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული; დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

შემოსავლის და მისი მიღების განმარტება

შემოსავალში მოიაზრება როგორც *ფულადი თანხა ისე მოძრავი და უძრავი ქონება, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებულია უცხოური ძალიდან. ამასთან, შემოსავალში მოაზრება როგორც საკუთრებაში ისე სარგებლობაში მიღებული ქონება (არ აქვს მნიშვნელობა სარგებლობის ფორმას)*. ამ კანონის მიზნებისთვის შემოსავალი არის ფულადი თანხა ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთე (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი). მიიჩნევა, რომ შესაბამისმა სუბიექტმა მიიღო შემოსავალი, თუ მას გადაეცა ფულადი თანხა ან იგი გახდა ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთის) მესაკუთრე ან მოსარგებლე. ამასთან, ამ კანონის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ ამ სუბიექტმა ეს შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო უცხოური ძალიდან ან შემოსავლის წყარო არ არის იდენტიფიცირებული. შემოსავლის წყაროდ უცხოური ძალა ჩაითვლება თუ: აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო; აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო; აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება და წესები

ყველა სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის კრიტერიუმებს ვალდებულია დარეგისტრირდეს სპეციალურ რეესტრში. კერძოდ, ორგანიზაცია ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის *მომდევნო კალენდარული წლის იანვარში* მატერიალური ფორმით მიმართოს სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს ამ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით და შესაბამის ვებგვერდზე დაშვებიდან საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადებში 10 სამუშაო დღეში ელექტრონული ფორმით

წარადგინოს განაცხადი (იგივე საფინანსო დეკლარაცია).⁶ თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის (იგივე საფინანსო დეკლარაციის) წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი და მიიღოს გადაწყვეტილება პირის ამ რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, რეგისტრაცია მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

- ორგანიზაცია ვალდებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. სააგენტო ვალდებულია 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე დაშვება.
- ორგანიზაცია ვალდებულია სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი (იგივე საფინანსო დეკლარაცია).
- განაცხადის (იგივე საფინანსო დეკლარაციის) წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები), სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან:
 - თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.
 - თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5

⁶ აღსანიშნავია, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნობრიობით, სამეწარმეო სუბიექტებს ფინანსური ანგარიშების შედგენისთვის/წარდგენისთვის გააჩნიათ 9 თვიანი ვადა (საანგარიშო წლის დასრულებიდან), ხოლო „უცხოური ძალის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიხედვით, ორგანიზაციებს საკმაოდ კომპლექსური ფინანსური ანგარიშების შედგენისთვის გააჩნიათ დაახლოებით 45 დღიანი ვადა (საანგარიშო წლის დასრულებიდან). „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.

მონიტორინგის მექანიზმი

იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს,⁷ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოვლენის მოტივით ან შესაბამისი სუბიექტის მიერ ამ კანონის სხვა მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად, **უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დაიწყოს მონიტორინგი**, მაშასადამე, საკითხის სათანადო მოკვლევა და შესწავლა, რაც მოიცავს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისგან, ისევე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებისაგან ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების, მოძიებას და დამუშავებას. მონიტორინგი სუბიექტის მიმართ შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დროს, ერთი დათქმით, რომ ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ. ამავდროულად, მონიტორინგისა და შესაბამისი **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილია 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა**. შესაბამისად ამ კანონი დარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მისი ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში. ზემოთ მოცემულის გარდა მონიტორინგის მოიცავს შემდეგს:

- **მონიტორინგის დაწყების საფუძველი** - მონიტორინგის დაწყების საფუძველია: ა) სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება. ამასთან არ არის დადგენილი თუ რა შეიძლება გახდეს თავად საფუძველი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთვის; ბ) სამინისტროსთვის იუსტიციის სახლის მეშვეობით წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.
- **სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება მონიტორინგის დაწყების შესახებ** - მონიტორინგის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი სუბიექტს უგზავნის წერილობით შეტყობინებას. წერილობითი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მათ შორის მონიტორინგის საგნისა და შინაარსის მოკლე აღწერას, აგრეთვე მოთხოვნას ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულების თაობაზე იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა სუბიექტი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის კანონით დადგენილ კრიტერიუმებს.
- **მონიტორინგის პროცესში ინფორმაციის მოძიება** - მონიტორინგის განსახორციელებლად სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, **ნებისმიერი პირისგან, კანონის შესაბამისად მოიძიოს ნებისმიერი კატეგორიის და სახის საჭირო ინფორმაცია**, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები (მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ

⁷ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განისაზღვრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტის უფროსი. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 29 ივლისის ბრძანება №1016.

მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას და სხვა), სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია **დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია**. თუმცა არ არის პირდაპირ განსაზღვრული თუ რა მოიაზრება ინფორმაციის დაუყოვნებლივ წარდგენაში. პირის მიერ ინფორმაციის დაუყოვნებლივ წარუდგენლობა გამოიწვევს მის **ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით** (5,000 ლარის ოდენობით).

- **სუბიექტის იძულებითი რეგისტრაცია** - თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს კანონით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს **სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად**. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი 10 სამუშაო დღის ვადაში ევალება კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი. ამასთან, იძულებითი რეგისტრაცია არ ათავისუფლებს ამ სუბიექტს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და მას ამავედროულად **დაეკისრება ამ კანონით დადგენილი ჯარიმა რეგისტრაციისგან თავის არიდების გამო** (25,000 ლარის ოდენობით).
- **გასაჩივრებისას მექანიზმი** - მონიტორინგის დროს და მის საფუძველზე გამოცემული აქტები შეიძლება გასაჩივრება სასამართლოში, თუმცა გასაჩივრება **არ აჩერებს გასაჩივრებული აქტების მოქმედებას**. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ შესაძლო უკანონო გადაწყვეტილებებს ვერ დააბალანსებს საერთო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვილოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია რომლის მოთხოვნის შესაძლებლობაც დადგენილია ამ რეესტრში პირველად რეგისტრაციისას. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

რეესტრის საჯაროობა

კანონის თანახმად, ორგანიზაცია ამ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით და შემდგომ ყოველწლიურად (ყოველი წლის იანვრის ბოლომდე) წარადგენს საფინანსო დეკლარაციას (პირველადი რეგისტრაციის დროს იგივე შინაარსის განაცხადს), რომელიც ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერი პირისთვის. განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის დეტალურ ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი და მას გააჩნია დისკრეცია დაადგინოს დეტალურად რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს დეკლარაცია. ამ დროისთვის დეკლარაცია შედგება 11 შესავსები ფორმისგან, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ორგანიზაციის შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, მათ შორის შეიტანება ორგანიზაციისთვის შემოსავლის მიმღები ფიზიკური პირების დეტალური საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი, საბანკო ანგარიშის ნომერი), აგრეთვე ორგანიზაციიდან შემოსავლის/სარგებლის მიმღები ფიზიკური პირის სახელი და გვარი.⁸ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია, მათ შორის საფინანსო დეკლარაცია/განაცხადი საჯაროა და ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მას. შესაბამისად, ***ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია დეკლარაციაში მითითებული ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები.*** ამასთან, იუსტიციის მინისტრს აქვს უფლება ნებისმიერ დროს ცვლილება შეიტანოს დეკლარაციის ფორმაში და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების უფრო მეტი მოცულობა.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც, წინა კალენდარული წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აღარ აკმაყოფილებს ამ სტატუსისთვის კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენისას დასაბუთებული წერილობითი განცხადებით, მატერიალური ფორმით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოსთხოვოს მისი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია ეს სუბიექტი დაუყოვნებლივ ამორიცხოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრიდან და სათანადო ვებგვერდიდან წაშალოს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებით ამ კანონის შესაბამისად მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

⁸ აღსანიშნავია, რომ დეკლარაციის ფორმაში, 2024 წლის 20 სექტემბერს განხორციელებულ ცვლილებამდე, შეიტანებოდა ორგანიზაციიდან დაფინანსების/სარგებლის მიმღები ფიზიკური პირის არა მხოლოდ სახელი და გვარი, არამედ საიდენტიფიკაციო ნომერი და საბანკო ანგარიშის მონაცემები.

პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის/შეუსრულებლობისთვის

ამ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის, ადმინისტრაციული სახდელის სახით **გათვალისწინებულია არაპროპორციულად დიდი ოდენობის ჯარიმები (5,000 ათასიდან 25,000 ლარამდე ოდენობით)**. გარდა ამისა, სუბიექტის მხრიდან დარღვევის გამოუსწორებლობა იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესის გაგრძელებას და ჯარიმების ყოველთვიურად დაკისრებას კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ამასთან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი, შესაბამისად ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სუბიექტს შეიძლება დაეკისროს აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით გამოცემული **სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს**. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ შესაძლო უკანონო ქმედებებს ვერ დააბალანსებს ვერც საერთო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. შესაბამისად, ჯარიმების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებები შეიძლება აღსრულდეს სასამართლო განხილვის დასრულებამდე, მათ შორის იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენებით. ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის დადგენილია შემდეგი ჯარიმები:

- რეგისტრაციისათვის თავის არიდება; რეგისტრირებული სუბიექტის მიერ ყოველწლიური (იანვრის ბოლოს) დეკლარაციის წარუდგენლობა - ჯარიმა 25,000 ლარი;
- იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა - ჯარიმა 5,000 ლარი;
- ნებაყოფლობით პირველადად რეგისტრაციისას, ვებგვერდზე დაშვებიდან ან იძულებითი რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღეში განაცხადის/დეკლარაციის წარუდგენლობა; ხარვეზიანი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, ხარვეზის დადგენიდან 10 სამუშაო დღეში ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 10,000 ლარი, ხოლო იგივე ქმედების გაგრძელება სახდელის დადებიდან ყოველი 1 თვის განმავლობაში გამოიწვევს ჯარიმას 20,000 ლარის ოდენობით (ყოველი ერთი თვის განმავლობაში).

1.3. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები კანონთან დაკავშირებით

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნა გამოაქვეყნა **ვენეციის კომისიამ**. ვენეციის კომისიამ, შეაფასა როგორც კანონის შინაარსობრივი მხარე ადამიანის ძირითად უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით, ისე თუ რამდენად შესაბამისი იყო კანონის მიღების პროცესი კანონის უზენაესობის სტანდარტებთან.⁹

ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურულად, კანონი განიხილებოდა ჩვეულებრივ და არა დაჩქარებულ რეჟიმში, საპარლამენტო განხილვისთვის და ნებისმიერი საჯარო განხილვისთვის დრო შეზღუდული იყო. ეს კანონი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ძალზე მგრძობიარეა და აზრთა დიდ

⁹ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), 24 ივნისი 2024 წელი. დასკვნა ხელმისაწვდომია ბმულზე (ინგლისური და ქართული ვერსიები): [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)020-e](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e) / [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)020-geo](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-geo)

სხვადასხვაობას იწვევს ქართულ საზოგადოებაში, მიღებულ იქნა ისეთი პროცედურის მეშვეობით, რომელმაც რეალური განხილვისა და არსებითი კონსულტაციებისთვის არავითარი სივრცე არ დატოვა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წელს იმავე კანონპროექტზე რეაქციამ აჩვენა კანონის მიღებასთან დაკავშირებით არსებული პოლარიზაცია და, შესაბამისად, არსებობდა აშკარა და თვალსაჩინო აუცილებლობა იმისა, რომ არსებითი კონსულტაციები გამართულიყო დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც აღნიშნული კანონი ეხებოდა, განსაკუთრებით სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ონლაინ მედიასაშუალებებთან და მაუწყებლებთან. ამგვარი მოქმედება არ პასუხობს დემოკრატიული კანონშემოქმედების ევროპულ მოთხოვნებს. მისი მიღების პროცესი ვერ აკმაყოფილებს ვენეციის კომისიის კანონის უზენაესობის სტანდარტებს „გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ინკლუზიური და დემოკრატიული კანონშემოქმედებითი პროცესისთვის“. (პარაგრაფები 43, 44, 95).

ვენეციის კომისიამ გააანალიზა კანონის შესაბამისობა მოქმედ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან და დაასკვნა, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან, გაერთიანების თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან მიმართებით კანონით დადგენილი შეზღუდვები ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8(2), მე-10(2) და მე-11(2) მუხლებით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17(2), მე-19(2) და 22(2)-ე მუხლებით¹⁰ დადგენილ მკაცრ ტესტს, ვინაიდან ისინი ვერ აკმაყოფილებს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერების, ლეგიტიმურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს, ისევე როგორც ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ კანონის მიხედვით, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად დასახელება სერიოზულ შედეგებს იწვევს, ვინაიდან ის ძირს უთხრის როგორც სამიზნე ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობასა და სანდოობას, ასევე მათ საქმიანობას. სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებული მუდმივი და მასტიგმატიზირებელი დაბრკოლებები მსუსხავ ეფექტს ქმნის. იქმნება სერიოზული რისკი იმისა, რომ კანონი იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს შეეხება, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებენ, შესაბამისად, მათი მოცილება უარყოფითად იმოქმედებს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე. (პარაგრაფები 96, 97, 98).

ვენეციის კომისიამ კანონის შინაარსის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით შეაფასა შემდეგი სტანდარტებით: კანონით გათვალისწინებული; ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს; იყოს აუცილებელი/პროპორციული. (პარაგრაფი 51). თითოეულ ამ კომპონენტზე ვენეციის კომისიამ მიუთითა შემდეგი:

კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა (კანონიერება):

ვენეციის კომისიის მითითებით, კანონიერების სტანდარტი არა მხოლოდ კანონის არსებობას, არამედ თავად კანონის ხარისხსაც ეხება. ის მოითხოვს, რომ ნებისმიერი კანონი იყოს საკმარისად მკაფიო, ზუსტი და განჭვრეტადი, რათა დასარეგულირებელმა სუბიექტებმა (ამ შემთხვევაში, ორგანიზაციებმა) შეძლონ მისით ხელმძღვანელობა, ხოლო სახელმწიფოს

¹⁰ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; გამოხატვის თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება.

შეუზღუდოს გარკვეული წესების თვითნებურად დადგენის შესაძლებლობა. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ კანონი მოკლებულია სიზუსტეს, მას გააჩნია ძალზე ფართო მოქმედების სფერო და მეტისმეტად დიდ დისკრეციას უტოვებს სახელმწიფო ორგანოებს და ამის მაგალითად კანონში გამოყენებულ ტერმინებზე მიუთითებს. ცნება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს „უცხოური ძალა“ სუბიექტების ფართო სპექტრს მოიცავს, დაწყებული უცხო სახელმწიფოს მმართველობის სისტემის შემადგენელი სუბიექტიდან და დამთავრებული ფიზიკური პირით, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ განსაზღვრულია მისი იურიდიული ბუნებისა და დაფინანსების წყაროებიდან მისი შემოსავლის „20 პროცენტზე მეტი“ მიღების მიხედვით. ამ ფართო და ბუნდოვანი ტერმინების კომბინაციის შედეგად, იმ სუბიექტთა კატეგორია, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები“, პოტენციურად ძალზე დიდი და განუსაზღვრელია. ამ ბუნდოვანი და ორაზროვანი ფორმულირებიდან გამომდინარე, შეუძლებელია საკმარისი განჭვრეტადობით იმის გათვალისწინება, თუ რა დაფინანსება ან რა სახის დახმარება გამოიწვევს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ კლასიფიკაციას და მასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და აკრძალვების დაწესებას. (პარაგრაფები 52, 53, 54).

ეს კანონი იუსტიციის სამინისტროს ან/და სააგენტოს მონიტორინგის განხორციელების და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მოთხოვნის უფლებას აძლევს. ვენეციის კომისიის აზრით ეს კონცეფცია ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვინაიდან ამგვარ ინფორმაციასა და კანონის მიზნებს შორის არანაირი კავშირი არ არის. ამასთან, მონიტორინგის უფლებამოსილებას კანონი ყოველგვარი მკაფიო ან ობიექტური სტანდარტების მითითების გარეშე ითვალისწინებს, რაც აშკარად ვერ აკმაყოფილებს კანონიერების პრინციპის მოთხოვნას. გარდა ამისა, ეს კანონი, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღებას უფლებამოსილებას ანიჭებს, თუმცა კანონი არ შეიცავს მკაფიო მითითებებს აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით, რითაც იუსტიციის სამინისტროს ამ რეგულაციის ინტერპრეტირებისა და გამოყენების ფართო დისკრეციას უტოვებს. ასეთი ფართო დისკრეცია შეუთავსებელია კანონიერებისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპებთან. (პარაგრაფები 55, 56, 57).

ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს (ლეგიტიმურობა):

კანონის გაცხადებულ მიზანს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ გაერთიანების საქმიანობის საჯაროობა ან გამჭვირვალობა არ შედის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით განსაზღვრულ იმ ლეგიტიმურ მიზნებს შორის, რომლებიც გაერთიანების თავისუფლების განხორციელების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა. ეს ლეგიტიმური მიზნები მოიცავს ეროვნულ უშიშროებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, უწყსრიგობის ან დანაშაულის პრევენციას ევროპული კონვენციის მე-11(2) მუხლის შემთხვევაში ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 22(2)-ე მუხლის შემთხვევაში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მხოლოდ ამ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად შეიძლება დაფინანსების გამჭვირვალობის, როგორც გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლის, გამოყენება. ვენეციის კომისიამ მის წინა დასკვნებსა და ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის გაძლიერება

თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, როგორც ეს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ინსტრუმენტებშია აღწერილი, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც გამჭვირვალობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ან რამდენიმე ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებად, რომელიც ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ან ისეთი დანაშაულის პრევენცია, როგორცაა ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება. (პარაგრაფები 59, 61).

გაერთიანებების დაფინანსების შესახებ ანგარიშში ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ გაერთიანებებზე დაწესებული შეზღუდვების ერთ-ერთ მიზეზად სახელმწიფოები ხშირად „საგარეო პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების მიზნით გამჭვირვალობის უზრუნველყოფას“ ასახელებენ. ამასთან დაკავშირებით კომისია მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების სურვილი შეიძლება სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს შეესაბამებოდეს, ავტომატურად იმის ვარაუდი, რომ ნებისმიერი უცხოური დაფინანსება, რაც არ უნდა შეზღუდული ოდენობის და გაფანტული იყოს, უცხოური გავლენის ტოლფასია, გაუმართლებელია და თავისთავად არასაკმარისია სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, ონლაინ მედიისთვის და მაუწყებლებისთვის დაწესებული შეზღუდვების გასამართლებლად. (პარაგრაფი 63).

რაც შეეხება ხელისუფლების არგუმენტს, რომ ეს კანონი უცხო აქტორების გავლენით გავრცელებული დეზინფორმაციისგან დემოკრატიის დაცვას ემსახურება, ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული, მხარდაჭერილი და ხელშეწყობილი, მიუხედავად იმისა, კრიტიკულია თუ არა ის ხელისუფლების მიმართ და იმყოფება თუ არა ის საერთაშორისო დისკურსის გავლენის ქვეშ. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების კრიტიკა არ შეიძლება და არ უნდა იყოს კვალიფიცირებული როგორც დეზინფორმაცია. უცხოური დაფინანსების მიმღები გაერთიანებებისა და მედიის, როგორც ხელისუფლების მაკრიტიკებლების, მიზანში ამოღება, გაჩუმება და მათი ფაქტობრივ დახურვამდე მიყვანა ასე მარტივად ვერ ჩაითვლება დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ მიღებულ ზომად. პირიქით, ასეთი ზომები ძირს უთხრის პლურალიზმსა და სიტყვის თავისუფლებას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და საზიანოა დემოკრატიისთვის როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად, მოახლოებული არჩევნების კონტექსტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კანონი ვერ აკმაყოფილებს ლეგიტიმურობის პირობას. (პარაგრაფი 65).

აუცილებელი და პროპორციული:

კომისიამ აღნიშნა, რომ ასეთი ზომები უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია რეალური და არა მხოლოდ ჰიპოთეტური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ნებისმიერი ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს „მწვავე სოციალურ საჭიროებას“, ეროვნული ხელისუფლების მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები უნდა იყოს „რელევანტური და საკმარისი“ და უნდა შეიცავდეს „მტკიცებულებას, რომ საკმარისად გარდაუვალი რისკი არსებობს

დემოკრატიისთვის“. კომისია აღნიშნავს, რომ განმარტებითი ბარათი ვერ ასაბუთებს კანონის შემუშავებას ვერანაირი კონკრეტული საფრთხის ან რაიმე რეალური რისკის შეფასების საფუძველზე და ამ მხრივ არც რისკების შეფასება განხორციელებულა. გარდა ამისა, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა უკვე შეიცავს დებულებებს, რომლებიც აღნიშნული კანონით რეგულირებად ორგანიზაციებს რეგისტრაციისა და ანგარიშგების ვალდებულებას აკისრებს, მათ შორის, მათი დაფინანსების წყაროების შესახებ; არანაირი დამაჯერებელი ახსნა-განმარტება არ გაკეთებულა იმის შესახებ, თუ რატომ არ არის არსებული ვალდებულებები საკმარისი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. (პარაგრაფები 66, 68, 69).

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყთან დაკავშირებით პროპორციულობის შეფასებისას, ვენეციის კომისია მოიხმობს უნგრეთთან დაკავშირებით მიღებულ სტანდარტს და უთითებს, რომ საქართველოში არსებული ვითარება, დიდ წილად, უნგრეთის ვითარების მსგავსია, რადგან ცალკეული სუბიექტების „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ გამოყოფამ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი უცხოურ დაფინანსებას იღებენ, შესაძლოა, შელახოს ამ სუბიექტთა რეპუტაცია და მათ მიმართ უნდობლობის ატმოსფერო გააჩინოს. უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მიღების გამო ორგანიზაციის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ მოხსენიების ობიექტურ შედეგს ორგანიზაციების სტიგმატიზაცია და მათი იმ ორგანიზაციებისგან განცალკევება წარმოადგენს, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი (ანუ ქართველი) დონორებისგან ფინანსდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დაფინანსება გავლენის ტოლფასია, უბრალო იარლიყიც კი საკმარისი იქნება ორგანიზაციის სტიგმატიზაციისა და ყოველგვარი მტკიცებულების საფუძვლის გარეშე მისთვის ძირის გამოთხრისთვის.

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ კანონი არ განასხვავებს სხვადასხვა უცხოურ წყაროს, მათ შორის იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს რომლის წევრიც თითონ ეს სახელმწიფოა ან რომლის წევრობისკენაც იგი ისწრაფვის. აღნიშნულ კონტექსტში საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის სახსრების გამოყოფა არ შეიძლება „უცხოური“ ინტერესების გატარებად ჩაითვალოს“. კანონის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ეს საკანონმდებლო აქტი მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვისაა განკუთვნილი და არ აბრკოლებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების საქმიანობას. თუმცა, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ კანონის მიდგომის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ითვალისწინებს სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ონლაინ მედიისა და მაუწყებლებისთვის იარლიყის მინიჭების მასტიგმატიზირებელ ეფექტს, რაც, თავისი არსით, თავიდანვე ზღუდავს მათ საქმიანობას. ეს ძირს უთხრის მათ მიმართ საზოგადოების ნდობასა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, კომისია მიიჩნევს, რომ თვით ორგანიზაციისთვის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლის“ იარლიყის მინიჭების ფაქტი, გარდაუვლად შეუქმნის საფრთხეს მის მიერ შიდა წყაროებიდან დაფინანსების მოპოვებას. (პარაგრაფები 71, 72, 74, 75, 76).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვენეციის კომისიამ კანონი სხვა მრავალი მიმართულებით მიიჩნია არაპროპორციულად და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ, მათ შორის, პრობლემურად მიიჩნია რეგისტრაციისას განაცხადის წარდგენის ნაწილი, ორგანიზაციების

შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების ნაწილი, ფინანსური ანგარიშგების მოცულობის ნაწილი, მონიტორინგის მექანიზმი და კანონით გათვალისწინებული სანქციების ხისტი სისტემა და არაპროპორციულად ჯარიმები. (პარაგრაფები 78-90).

“უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონთან დაკავშირებით გადაუდებელი დასკვნა ასევე გამოაქვეყნა **ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა**. დასკვნის მიხედვით, კანონი შეიცავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც მას შეუთავსებელს ხდის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის, როგორც ეუთოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებებთან, და ამიტომ, ის უნდა გაუქმდეს. კანონი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასაშუალებებს „უცხოური ძალების ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ საზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსებისთვის, არ შეესაბამება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართალში აღნიშნულ მკაცრ მოთხოვნებს. დასკვნა შეიცავს დეტალურ დასაბუთებას.¹¹

1.4. კანონის გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტის 38 ოპოზიციონერმა დეპუტატმა, 122 არასამთავრობო ორგანიზაციამ/ა(ა)იპ-მა დ და დამატებით 2 მედია სუბიექტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი გაასაჩივრეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოში სულ შევიდა 4 სარჩელი სადავო კანონის ყველა ძირითადი მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებთან მიმართებით. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს პარლამენტის წევრების სარჩელები მოიცავს ამ კანონის კონსტიტუციურობის განხილვას საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.¹²

მოსარჩელეთა მოსაზრებით, გასაჩივრებული კანონის საფუძველზე, ქართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებებისათვის სახელმწიფოს მიერ სტიგმის გამომწვევი სახელწოდების დარქმევა, შეურაცხმყოფელ რეესტრში დასარეგისტრირებლად რეპრესიული მექანიზმების ამოქმედება, მონიტორინგის განხორციელების წესი და სიხშირე, (მედია)ორგანიზაციებისგან ან/და მათთან რაიმე სახით დაკავშირებული პირებისგან ნებისმიერი სახისა და შინაარსის ინფორმაციის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესაძლებლობა, კანონის უკუძალით, დასრულებულ სამართალური თვითობებზე გავრცელება და დიდი ოდენობის ჯარიმების განსაზღვრა ქმედებებისთვის, რომლებიც მოსარჩელეთა აზრით, საერთოდ არ შეიცავს საზოგადოებრივი გაკიცხვადობის ნიშნებს, მოკლევადიან და

¹¹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დასკვნა, 2024 წელი. იხილეთ: <https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf>

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი იხილეთ სასამართლოს ვებგვერდზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17223>

გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითად ართულებს ამ სუბიექტების საქმიანობას და შეუძლებელს ხდის მათ მიერ დასახული იდეალისტური მიზნების მიღწევას. ეს კი, მოსარჩელეთა აზრით, საბოლოო ჯამში, იწვევს ამ (მედია)ორგანიზაციების ფუნქციონირების შეწყვეტას, რაც უთანაბრდება მათ ლიკვიდაციას. სარჩელებში მათ შორის მოცემულია შემდეგ ძირითადი არგუმენტები/დასაბუთება:

- *სტიგმატიზაცია* - ტერმინის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ – სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, მისი შემოღების წინაისტორია და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები აღნიშნულ სტატუსს ანიჭებს მკვეთრად ნეგატიურ დატვირთვას, რითაც ხდება მისი მატარებლების „აგენტებად“, „ჯაშუშებად“, ეროვნული ინტერესებისა და ფასეულობების წინააღმდეგ მოქმედ სუბიექტებად აღქმა. მოსარჩელეთა აზრით, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებებისათვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების იარლიყის მინიჭებით და მათი სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირებით, სახელმწიფო ამ (მედია)ორგანიზაციების მიერ საკუთარი ქვეყნისა და თანამოქალაქეების დასახმარებლად განხორციელებულ საქმიანობას არქმევს საქართველოს საწინააღმდეგო, უცხოური ძალის ინტერესების გატარებას, რითაც ახდენს აღნიშნული სუბიექტების დისკრედიტირებას, საქმიანი რეპუტაციის შელახვას და ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას. ეს იწვევს მათ სტიგმატიზაციას და საზოგადოებისგან გარიყვას, გაუცხოებას, მათ მიმართ ნდობის დაკარგვას, როგორც საზოგადოების, ისე ბენეფიციართა თუ პოტენციურ დონორთა მხრიდან.
- *რეპრესიული მონიტორინგის მექანიზმები* - პრობლემურია კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის მექანიზმი და მისი რეპრესიული ბუნება. იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს, უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დაიწყოს მონიტორინგი, რაც მოიცავს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისგან, ისევე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებისაგან ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიღმა, სადავო ნორმები არ ადგენს არანაირ შინაარსობრივ შეზღუდვას მისაღები ინფორმაციის კატეგორიის, სენსიტიურობისა და პრივატულობის მიხედვით. მოსარჩელის განცხადებით, მონიტორინგის ინსტიტუტს რეპრესიულ მექანიზმად აქცევს აგრეთვე მისი განხორციელების სიხშირე. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მონიტორინგისა და ინფორმაციის გამოთხოვის მექანიზმი ქმნის ორგანიზაციების, მისი პარტნიორებისა თუ თანამშრომლების დაშინებისა და მუდმივ წნეხში ყოფნის ძლიერ ინსტრუმენტს, რომლის უკანონო გამოყენებას ვერ აბალანსებს, მათ შორის, ვერც საერთო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება, ვინაიდან სადავო კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.
- *ფინანსური ანგარიშგების ტვირთის სიმძიმე* - პრობლემურია ორგანიზაციებისათვის დაკისრებული ფინანსური ანგარიშგებით გამოწვეული ტვირთის სიმძიმე. კერძოდ, სადავო კანონი ორგანიზაციებისგან ითხოვს ალტერნატიულ, სრულიად განსხვავებულ ბუღალტრულ ანგარიშგებას. მსგავსი მიდგომა, გარდა ორგანიზაციული ტვირთისა, ერთიორად ზრდის ხარვეზიანი დეკლარაციის წარდგენის, გამოუსწორებელი ხარვეზის დადგენის ან/და ხარვეზის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების რისკს, განსაკუთრებით კანონის ამოქმედებამდე დასრულებულ სამართალურთიერთობებთან მიმართებით საფინანსო ანგარიშგების მოთხოვნის პირობებში.

- *კანონის უკუძალა* - პრობლემური კანონის უკუძალით გავრცელება წარსულ ურთიერთობებზე. კერძოდ, (მედია)ორგანიზაციებს მასტიგმატიზირებელ რეესტრში რეგისტრაცია და შესაბამისი საფინანსო დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვებათ სადავო კანონის მიღების წინა კალენდარულ წელს მიღებული შემოსავლების გაანგარიშების საფუძველზე. კანონის უკუძალით, მის მიღებამდე პერიოდში წარმოშობილ სამართალურ ურთიერთობებზე გავრცელება წინააღმდეგობაშია სამართლებრივი სახელმწიფოს საბაზისო, კერძოდ, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის პრინციპებთან.
- *სახდელის არაპროპორციულობა და ინტენსიობა* - პრობლემურია კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახდელის სახით გათვალისწინებული ჯარიმების დიდი ოდენობა და მისი დაკისრების სიხშირე. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ უცხოური დაფინანსება, რომელიც, როგორც წესი, მიბმულია შესაბამის პროექტზე, ვერ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული დიდი ოდენობის ჯარიმების დასაფარად. შესაბამისად, (მედია)ორგანიზაციები ვერ შეძლებენ ჯარიმის გადახდას, რაც შესაძლოა, მათ მიმართ იძულებითი აღსრულებისა და გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების საფუძველი გახდეს და საბოლოო ჯამში, გამოიწვევს (მედია)ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტას, მათ ფაქტობრივ ლიკვიდაციას.
- *კანონის მსუსხავი „მსუსხავი ეფექტი“* - სადავო ნორმებს აქვს „მსუსხავი ეფექტი“ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების/მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციაზე. კერძოდ, სადავო კანონში გათვალისწინებულია რეპრესიული მექანიზმები, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი კანონით გადაცემული აქვს ამ მექანიზმების ამოქმედების განუსაზღვრელი უფლებამოსილება, რაც შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტებთან. მსგავსი მოწესრიგება, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიაში ნერგავს მუდმივი საფრთხის განცდას, რომ მათ მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ნებისმიერი აქტი, იმგვარი ფორმებითა და შინაარსით, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლებისთვის იქნება მიუღებელი, შესაძლოა, გახდეს მათ მიმართ რეპრესიული მექანიზმების ამოქმედების საფუძველი. გარდა ამისა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმაშიც გამოიხატება, რომ შეურაცხმყოფელი იარლიყის მინიჭებით, კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და დასკვნებს, ისევე, როგორც მედიასაშუალებების მიერ მომზადებულ რეპორტაჟებსა და ჟურნალისტური გამოძიების შედეგებს, წინასწარ ანიჭებს ისეთ იარლიყს, რომელიც საზოგადოების თვალში მის სანდოობას და მნიშვნელობას ძირს უთხრის და აფერმკრთალებს.
- *ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან წინააღმდეგობა* - საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებით, შესაბამისი მოსარჩელები მიუთითებენ, რომ სადავო კანონი არღვევს მთელ რიგ ძირითად უფლებებს და ისეთ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც ამავედროულად ევროატლანტიკური ორგანიზაციებისა და ევროკავშირის სამართლის ღირებულებით ქვაკუთხედს წარმოადგენს. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არსებული კანონი კარდინალურად ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს. მასთან ერთად, სადავო კანონი უცხო ძალად მიიჩნევს ორგანიზაციას, რომელში გაწევრიანებაც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მიზანია და რომელთანაც ამ ეტაპზე საქართველოს გაფორმებული აქვს ასოცირების

შეთანხმება. გარდა ამისა, მოსარჩელების მითითებით, კანონი პრაქტიკაშიც აფერხებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ვინაიდან, პირდაპირ თუ ირიბად, შეუძლებელს ხდის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და იმ ცხრა ნაბიჯის შესრულებას, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებელ წინაპირობადაა დასახელებული და მოიცავს, მათ შორის, მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და საქმიანობის ხელშეწყობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით (საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2024 წლის 9 ოქტომბერს), ძირითად ნაწილში¹³ არსებითად განსახილველად მიიღო ოთხივე სარჩელი, რომელიც ეხება სადავო კანონის შესაბამისი მუხლების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ მუხლებთან მიმართებით: მე-15 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა; მე-17 მუხლი (პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტი, მე-3 პუნქტის პირველი წინადადება, მე-5 პუნქტი) - აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლება; 22-ე მუხლი (პირველი პუნქტი) - გაერთიანების თავისუფლება; 31-ე მუხლი (მე-9 პუნქტის მეორე წინადადება) - საპროცესო უფლებები („კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“); 78-ე მუხლი - საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.¹⁴

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე მიმართეს შუამდგომლობით, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოს შეეჩერებინა სადავო კანონის მოქმედება¹⁵, ვინაიდან კანონის მოქმედებას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს იმ ორგანიზაციებისთვის რომლებიც ექცევიან სადავო კანონის მოქმედების სფეროში და არ არსებობს ამ ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობა სხვა სამართლებრივი საშუალებით. 2024 წლის სექტემბრიდან, სრულად ამოქმედდება სადავო კანონით გათვალისწინებული რეპრესიული მექანიზმები და კანონი დაუყოვნებლივ წარმოშობს ყველა იმ საფრთხეს, რომელზეც ცალკეული უფლებების დარღვევის კონტექსტში იყო საუბარი, შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროისათვის, რაც საშუალო სტატისტიკურად რამდენიმე წელს მოიცავს, სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებისათვის უკვე დამდგარი იქნება შეუქცევადი, გამოუსწორებელი ზიანი. ამასთან, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმების დაუყოვნებლივ შეჩერებით არ იქმნება სხვა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების დაზიანების საფრთხე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სადავო ნორმები არ არის მიღებული საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მაშინ როცა თავის მხრივ სადავო

¹³ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად ან/და შეწყვიტა წარმოება საქმეზე საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტთან და მე-12 მუხლთან მიმართებით.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი იხილეთ სასამართლოს ვებგვერდზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17223>

¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.

ნორმების შეჩერებით შესაძლებელი იქნება ორგანიზაციებისათვის შეუქცევადი ზიანის თავიდან აცილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების შუამდგომლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო კანონის მოქმედების შეჩერების შესახებ და მიიჩნია, რომ კანონის მოქმედებას არ შეუძლია მხარისთვის გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კი სასამართლომ ჩათვალა რომ სახეზე არ იყო და ვერ დასაბუთდა მოცემული გარემოებები.¹⁶ კერძოდ, სასამართლომ მიუთითა:

- *„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ სახელდება და ამავე სახელით რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებასთან დაკავშირებით* - სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმები, მოსარჩელების აღქმით, ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიაორგანიზაციების უარყოფითი კონოტაციის მქონე სტატუსის ქვეშ საქმიანობის ვალდებულებას, რაც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობას, არყვეს მათდამი ნდობას და აზიანებს საქმიან რეპუტაციას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება დამდგარი შედეგების უკუქცევა და იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც არსებობდა სადავო ნორმების ამოქმედებამდე.
- *დეკლარაციის შევსებას, მონიტორინგის ხანგრძლივობასა და დაცულ ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებით* - საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის შედეგად არ გამოკვეთილა, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ან/და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის ინფორმაციის მიწოდება ორგანიზაციებისათვის აუწყველ ტვირთს ქმნის და, შედეგად, მათ საქმიანობას შეუძლებელს ხდის. საქმის განხილვის დროს არ გამოკვეთილა პოტენციური გამოუსწორებელი შედეგები, რომელიც შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში სადავო ნორმების მოქმედებას მოჰყვეს.
- *ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესაძლო ხელშეშლასთან დაკავშირებით* - სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იწვევს კანონი ისეთ შედეგებს, რომლის გამოსწორებაც ვერ მოხდება მისი არაკონსტიტუციურად ცნობით. ამავე დროს, არ გამოკვეთილა, რომ სადავო კანონის მოქმედების შეჩერება მოსარჩელის მიერ მითითებული საფრთხეების პრევენციის ეფექტური მექანიზმია.

საკონსტიტუციო სარჩელები ამჟამად განხილვის პროცესშია. კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ დროის ათვლა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება. ამასთან,

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი იხილეთ სასამართლოს ვებგვერდზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17223>

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადის არაუმეტეს 2 თვით გაგრძელება შეუძლია. საგულისხმოა, რომ ამ დროის ამოწურვა ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლოს მიერ წარდგენილ სარჩელზე ან წარდგინებაზე გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის/გამოცემისათვის ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.¹⁷

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით 2024 წლის ოქტომბერში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირებმა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა 120 საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, 16 მედია ორგანიზაციამ და 4 ფიზიკურმა პირმა. საჩივარი უკვე დარეგისტრირებულია სასამართლოში.

საჩივრის ავტორებმა სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევაზე მიმართეს: შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების (მე-11 მუხლი); გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი); პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების (მე-8 მუხლი); დისკრიმინაციის (მე-14 მუხლი); სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლების (მე-13 მუხლი); უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლების (მე-18 მუხლი).

II. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზი

2.1. რეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობა და რეესტრაციის მისამართი მუნიციპალურ ჭრილში

2024 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებულია **385 ორგანიზაცია**, რომლიდანაც **7** სუბიექტი არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მედია სუბიექტი.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეესტრაციის მოთხოვნით სუბიექტის მიერ განცხადების წარდგენის ბოლო ვადას შეადგენდა 2024 წლის 2 სექტემბერი.¹⁸ ამ რეესტრში საჯაროდ არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ **5-მა ორგანიზაციამ**, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეესტრაციის განცხადებით. ამ რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 51%-მა** რეესტრაციის განცხადებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა ვადის ამოწურვამდე ბოლო სამი დღის განმავლობაში, ხოლო ვადის ამოწურვამდე ბოლო ერთი კვირის

¹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლი.

¹⁸ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით, კანონის შესაბამისი მუხლის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში ორგანიზაციებს ევალებოდათ ამ რეესტრში რეესტრაციის მოთხოვნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვა.

განმავლობაში რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადება წარადგინა **ორგანიზაციების 76%-მა**. აღსანიშნავია, რომ ამ რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადება, მისი წარდგენის ვადის ათვლიდან, ორი კვირის განმავლობაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წაუდგინა **რეგისტრირებული ორგანიზაციების 11%-მა**.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2025 წლის 20 იანვრის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (სამსახურის ვებგვერდზე არსებული ბიზნეს რეესტრი - ეკონომიკური სუბიექტების საძიებო სისტემის მიხედვით),¹⁹ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული, კერძო საკუთრებაში²⁰ არსებული ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობა შეადგენს 31,919 სუბიექტს. ამავე სტატისტიკის მიხედვით, კერძო საკუთრებაში (ყველა სუბიექტი გარდა სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულისა) არსებული აქტიური²¹ ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობა არის 3,175 სუბიექტი. შესაბამისად, ამ სტატისტიკაზე დაყრდნობით გამოდის, რომ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებულია, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრში რეგისტრირებული კერძო საკუთრებაში (ყველა სუბიექტი გარდა სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულისა) არსებული ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობის **1.2%**. ამასთან, ამ რეესტრში რეგისტრირებულია კერძო საკუთრებაში (ყველა სუბიექტი გარდა სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულისა) არსებული აქტიური ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობის **12%**.²²

რეგისტრირებული **ორგანიზაციების 45%-ის** (174 ორგანიზაცია) სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნებთან, ხოლო 55%-ის (211 ორგანიზაცია) მონაცემები არ არის შესაბამისობაში „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნებთან. ამ რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 13%** (49 ორგანიზაცია) დაფუძნდა 2022 წლის 1 იანვრიდან („მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის ძალაში შესვლიდან).

რეგისტრირებული **ორგანიზაციების 59%-ის** (227 ორგანიზაცია) იურიდიული მისამართი მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო ამ რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 41%-ის** (158 ორგანიზაცია) იურიდიული მისამართი საქართველოს 44 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ 20-მდე მუნიციპალიტეტში იურიდიული მისამართის მქონე ა(ა)იპ-ებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

¹⁹ ინფორმაცია ეყრდნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეესტრის ჯამურ საძიებო მონაცემებს და არ არის გადამოწმებული მისი რეალური შესაბამისობა რეესტრშივე მოცემულ მეთოდოლოგიასთან.

²⁰ შეტანილია ყველა ის ა(ა)იპ რომელიც არ არის სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან არ არის მათი მონაწილეობით/წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული (მათ შორის მათი მონაწილეობით შერეული საკუთრება).

²¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით, ეკონომიკური ერთეული აქტიურია, თუ იგი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს: 1) ბრუნვა>0 (დღგ-ს, ყოველთვიური საშემოსავლო და სხვა დეკლარაციები); 2) ხელფასი ან დასაქმებულთა რაოდენობა>0 (ყოველთვიური საშემოსავლო და სხვა დეკლარაციები); 3) აქვს მოგება ან ზარალი (მოგების დეკლარაცია); 4) გადაიხდა ნებისმიერი სახის გადასახადი, გარდა მხოლოდ ქონების გადასახადისა.

²² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური ბიზნეს რეესტრი (2025 წლის 20 იანვრის მდგომარეობით): https://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრაციის ყველაზე მაღალი პროცენტული (აქტიური ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობიდან) მაჩვენებელი, ორგანიზაციების იურიდიული მისამართის მიხედვით, ვლინდება ქვემო ქართლის რეგიონში (მარნეულის მუნიციპალიტეტი 62%, ბოლნისის მუნიციპალიტეტი 46%, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 38%), ხოლო სხვა რეგიონების მიხედვით შემდეგ მუნიციპალიტეტებში: სამეგრელო - ხობის მუნიციპალიტეტი (75%); სამცხე-ჯავახეთი - ბორჯომის მუნიციპალიტეტი (41%); იმერეთი - ტყიბულის მუნიციპალიტეტი (50%); კახეთი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (57%). რაც შეეხება რეგისტრაციის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, ამ მხრივ გამოირჩევა მსხვილი რეგიონული ცენტრები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი (11%), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი (3%), ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი (6%), ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (7%) და თელავის მუნიციპალიტეტი (9%).

ცხრილი N1

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრირებული ა(ა)იპ-ების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (იურიდიული მისამართის მიხედვით)²³			
	მუნიციპალიტეტი	უცხ. ინტ. რეესტრში რეგისტრირებული (რაოდენობა)	% (საქსტატის მონაცემების მიხედვით აქტიურების საერთო რაოდენობიდან)²⁴
1	თბილისის მუნიციპალიტეტი	227	11%
2	გორის მუნიციპალიტეტი ²⁵	5	0%
3	მცხეთის მუნიციპალიტეტი	5	14%
4	თიანეთის მუნიციპალიტეტი	1	13%
5	დუშეთის მუნიციპალიტეტი	3	25%
6	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1	11%
7	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2	14%
8	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	7	41%
9	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	6	30%
10	ახალციხის მუნიციპალიტეტი	9	31%
11	ადიგენის მუნიციპალიტეტი	1	20%
12	წალკის მუნიციპალიტეტი	1	8%
13	ბათუმის მუნიციპალიტეტი	5	3%
14	ქედის მუნიციპალიტეტი	1	25%
15	ხულოს მუნიციპალიტეტი	1	11%
16	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	7	18%
17	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2	17%

²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური ბიზნეს რეესტრი (2025 წლის 20 იანვრის მდგომარეობით): https://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka

²⁴ სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეესტრის ზოგადი შესწავლა ცხადყოფს რომ აქტიური ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობაში ასევე შედის საპატრიარქოს ეპარქიების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები და სხვადასხვა ფედერაციები.

²⁵ სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯაროდ განთავსებულ ბიზნეს რეესტრში არ მოიპოვება ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში აქტიური ა(ა)იპ-ების შესახებ, შესაბამისად ეს ნაწილი არის ღია.

18	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	1	11%
19	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	22	19%
20	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	2	14%
21	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	1	17%
22	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2	17%
23	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	3	25%
24	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	1	17%
25	ხონის მუნიციპალიტეტი	2	22%
26	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	1	50%
27	საჩხერეს მუნიციპალიტეტი	2	15%
28	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	4	7%
29	სენაკის მუნიციპალიტეტი	1	7%
30	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2	33%
31	მარტვილის მუნიციპალიტეტი	1	14%
32	ხობის მუნიციპალიტეტი	3	75%
33	ონის მუნიციპალიტეტი	2	18%
34	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	1	8%
35	მესტიის მუნიციპალიტეტი	1	9%
36	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	5	19%
37	რუსთავის მუნიციპალიტეტი	4	6%
38	მარნეულის მუნიციპალიტეტი	8	62%
39	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	6	46%
40	გარდაბანის მუნიციპალიტეტი	5	29%
41	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	5	38%
42	თელავის მუნიციპალიტეტი	3	9%
43	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1	9%
44	ახმეტის მუნიციპალიტეტი	4	17%
45	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	8	57%

როგორც უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი დეკლარაციებიდან ირკვევა, ამ რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 15%-ს** (57 სუბიექტი) 2023 წლის განმავლობაში ფინანსური კავშირი გააჩნდა სხვადასხვა საჯარო ინსტიტუციასთან. კერძოდ, ისინი დაფინანსებას/თანადაფინანსებას იღებდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო ინსტიტუციებიდან (სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ან/და მუნიციპალიტეტებიდან. საჯარო ინსტიტუციიდან დაფინანსების მიღება გამოიხატებოდა ორგანიზაციების თანადაფინანსებაში ან/და ვაუჩერული სისტემით მომსახურების ანაზღაურებაში. გარდა ამისა, მათი ნაწილი ტექნიკურ, მატერიალურ ან/და ფინანსურ დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა საჯარო ინსტიტუციებს.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 10%-მდე** ერთმანეთთან არის დაკავშირებული ქსელური კავშირით (ერთი

ქსელის ან/და პლატფორმის წევრი), ერთი და იგივე ხელმძღვანელი პირის ყოლით, ერთმანეთის დაფინანსებით ან ერთი და იგივე პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის სახით.

2.2. რეგისტრირებული ორგანიზაციების საქმიანობის მიზნები და მიმართულებები

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიზნები და საქმიანობის მიმართულებები მრავალფეროვანია. ორგანიზაციების მიზნები/საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ხშირ შემთხვევაში მრავალპროფილურია და აუცილებლად არ გულისხმობს წესდებით განსაზღვრული ყველა მიმართულებით საქმიანობის რეალურად განხორციელებას. შესაბამისად, N2 ცხრილში არსებული ინფორმაცია მოცემულია წესდებით განსაზღვრული მიზნებისა ან/და დეკლარაციის ფორმაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში გამოქვეყნებულ დეკლარაციებში შემოსავლის მიღების მიზანი არ არის ნათლად აღწერილი, რაც შეუძლებელს ხდის კონკრეტული დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების სფეროებისა და მიმართულებების იდენტიფიცირებას.

დეკლარაციის ფორმა არ მოიცავს ორგანიზაციის მიზნის და საქმიანობების მიმართულებების თემატურად დაჯგუფების რაიმე მეთოდოლოგიას, აქედან გამომდინარე ამ კვლევის ფარგლებში მოხდა საქმიანობების მიზნების/მიმართულებების პირობითი დაჯგუფება რეგისტრირებული ორგანიზაციების ყველაზე გავრცელებული მიზნებისა და საქმიანობების 20 ტიპის მიხედვით. ამ რეესტრში რეგისტრირებული **ორგანიზაციების 55%-ის** ძირითადი მიზანი და საქმიანობის მიმართულება არის მოწყვლადი ჯგუფებისთვის სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდება. აქედან, სოციალური, ჯანდაცვის და ჰუმანიტარული სერვისებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ხანდაზმულები და სხვა) უზრუნველყოფს **39%**, ხოლო საგანმანათლებლო სერვისებით **16%**. ორგანიზაციების **21%-ის** ძირითადი მიზანია/საქმიანობის მიმართულებაა ქალთა და ბავშვთა გაძლიერება (ეკონომიკური, უფლებრივი, დასაქმების, უნარების გაძლიერების და სხვა კუთხით). აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებული **ორგანიზაციების 13%** არის პროფესიული/დარგობრივი ასოციაცია ან მისი მიზანი რელიგიური საქმიანობის განხორციელებაა, ხოლო რეგისტრირებული **ორგანიზაციების 20%** სოფლის მეურნეობის, მეწარმეობის, ადგილობრივი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით მუშაობენ. რეგისტრირებული ორგანიზაციების მხოლოდ **14%-ის** პირდაპირი ძირითადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების და მედიის განვითარების ხელშეწყობა ან არჩევნების მონიტორინგი.

ცხრილი N2

მონაცემები საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით (საწესდებო მიზნების ან ანგარიშგების ფორმაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით)		
	საქმიანობის სფერო	%
1	პროფესიული ან დარგობრივი ასოციაცია	9%
2	რელიგიური მიმართულება	4%
3	დიასპორა/სათვისტომო და ეროვნული უმცირესობები	10%

4	ქალთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	11%
5	ბავშვთა უფლებები, ახალგაზრდების დახმარება და გაძლიერება (დასაქმება, განათლება, ინიციატივების მხარდაჭერა და სხვა)	10%
6	შშმ პირთა უფლებები, შშმ პირთა გაძლიერება, შშმ პირების სოციალური და სხვა სერვისები	8%
7	კულტურა და შემოქმედება	6%
8	მეცნიერება, უმაღლესი და ზოგადი განათლება	6%
9	არაფორმალური განათლება, პროფესიული უნარების განვითარება და საგანმანათლებლო სერვისები	16%
10	სხვადასხვა მოწყველადი ჯგუფების სოციალური და ჯანდაცვის სერვისები	19%
11	სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკის და მეწარმეობის განვითარება	14%
12	გარემოს დაცვა, ეკოლოგია, მდგრადი განვითარების მიზნები, ცხოველთა დაცვა	10%
13	ქველმოქმედება და ჰუმანიტარული დახმარება	12%
14	კონფლიქტების მოგვარება	2%
15	ადამიანის უფლებები, დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება	10%
16	კვლევები, პოლიტიკის ფორმირება, საერთაშორისო ურთიერთობა, ადვოკატირება, მოქალაქეთა ჩართულობა	9%
17	სათემო ორგანიზაცია, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარება	6%
18	მედია და მედიის განვითარება	2%
19	ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარება	3%
20	არჩევნების მონიტორინგი	2%

როგორც მონაცემები ცხადყოფს, რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მეტი წილი (55%) მოწყველადი ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს სერვისებს, რომელთა ნაწილი (რეგისტრირებული ორგანიზაციების 15%) თავის მხრივ დაფინანსებას იღებს სხვადასხვა საჯარო ინსტიტუციიდან. *შესაბამისად, მსგავსი ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებით გართულდებოდა ამ რეესტრში ნებაყოფლობითი რეგისტრაციაზე უარის თქმა, ვინაიდან ეს გაართულდებდა დამფინანსებელ/თანადამფინანსებელ საჯარო ინსტიტუციებთან ურთიერთობას ან/და მოსალოდნელი ჯარიმები შეუძლებელს გახდიდა ამ ორგანიზაციების მიერ სერვისების შემდგომ მიწოდებას, რაც თავის მხრივ დააზიანებდა სერვისის მიმღებ ბენეფიციარებს.*

III. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების არსებული მექანიზმები

არასამთავრობო სექტორის საქმიანობა და ფინანსები გამჭვირვალეა, რაც ერთი მხრივ, რეგულირდება უამრავი საკანონმდებლო აქტით, ხოლო მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ დონორის მიერ დადგენილი რეგულაციებით. ეს რეგულაციები ითვალისწინებს ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და სანდოობის მაღალ სტანდარტებს, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს დაფინანსების მიმღები ორგანიზაციის მხრიდან უკანონო და სარისკო ქმედებების ჩადენის შესაძლებლობას. გარდა ამისა, შესაძლო კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაზე რეაგირებისთვის საქართველოში უკვე მოქმედებს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმები (სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის აღკვეთის კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობა და სხვა).²⁶

საქართველოში უკვე მოქმედებს არასამეწარმეო იურიდიული პირების ანგარიშვალდებულების მრავალი მექანიზმი. სახელმწიფოს აქვს ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, შემოსავლების, გაწეული საქმიანობისა და ხარჯების შესახებ.

1. **ა(ა)იპ-ის მიზნებისა და მმართველობითი სისტემის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში. რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეესტრში აისახება ისეთი მონაცემები როგორებიცაა: სახელწოდება და საქმიანობის მიზანი; მისამართი; დამფუძნებლების/პარტნიორების საიდენტიფიკაციო მონაცემები; ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები; ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა საიდენტიფიკაციო მონაცემები. რეესტრში ასევე აისახება ორგანიზაციის წესდება და იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია.²⁷
2. **სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ყველა ა(ა)იპ-ის მიერ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის შედგენა (ინფორმაცია ორგანიზაციის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ)** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირები ვალდებული არიან ყოველწლიურად მოამზადონ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების კანონმდებლობით დადგენილი ფინანსური ანგარიშგებები. მართალია, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და გამოქვეყნების ვალდებულება მათ არ გააჩნიათ, თუმცა შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანის გზით შესაძლებელია, რომ ორგანიზაციებს დაევალოთ ამ ანგარიშგების წარდგენა-გამოქვეყნება. ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია

²⁶ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი; 4) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N797 ბრძანება; მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში - <https://www.my.gov.ge/ka/ge/services/6/service/179>

საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით - ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას ორგანიზაციის შემოსავლებისა (გრანტები, საწევრო შენატანები, შემოწირულობები და სხვა) და ხარჯების (ტრანსპორტის ხარჯი, პერსონალის ხელფასი, შეხვედრების და პრეზენტაციები და სხვა) შესახებ, შემოსავლებისა და ხარჯების სახეებისა და ტიპების მიხედვით, მათ შორის პროექტების მიხედვით.²⁸

3. **საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ ყოველწლიური პროგრამული და ფინანსური ანგარიშების, აგრეთვე დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ დოკუმენტების წარდგენა** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე ორგანიზაციების შესახებ მოქმედებს საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს სსიპ - შემოსავლების სამსახური. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების თანახმად, 2024 წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით, საქველმოქმედო ორგანიზაციის მოქმედი სტატუსი გააჩნია **149 ორგანიზაციას**.²⁹ რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. ერთიან რეესტრში შეიტანება ინფორმაცია ორგანიზაციის ძირითადი მიზნების, საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრების შესახებ და ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე სუბიექტები, ვალდებული არიან ყოველ წელს საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დამატებითი ინფორმაცია და ანგარიშები. კერძოდ: ა) ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (მათ შორის, ეკონომიკურის) აღწერას; ბ) ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით; გ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში). ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) უნდა **გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა** იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.³⁰
4. **ა(ა)იპ-ების მიერ შემოსავლების სამსახურისთვის საგრანტო ხელშეკრულებების, მათ შორის საგრანტო პროექტების და მისი დეტალური ბიუჯეტების წარდგენა** - არსებობს საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე პირთა ერთიან რეესტრი,³¹ რომელშიც აღრიცხულია საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული ყველა ის პროექტი რომელიც სარგებლობს საგადასახადო შეღავათები. ამ რეესტრში აღრიცხვისთვის ორგანიზაციები წარადგენენ საგრანტო ხელშეკრულებებს, საგრანტო პროექტებს და

²⁸ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის №9 ბრძანება.

²⁹ საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი - <https://www.rs.ge/CharityOrganization>

³⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“.

³¹ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრი - <https://rs.ge/TaxPrivileges>

დეტალურ ბიუჯეტებს, შესაბამისად ეს ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურისთვის. რეესტრი ყველასთვის ხელმისაწვდომია და მოცემულია ინფორმაცია პროექტის, მისი განმახორციელებელი სუბიექტის, დაწყებისა და დამთავრების თარიღის შესახებ. გარდა ამისა, ორგანიზაციები დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნებისთვის, საგადასახადო ორგანოს წარუდგენენ დონორთან დადებული შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებებს და პროექტის ბიუჯეტებს.³²

5. **ა(ა)იპ-ების მიერ შემოსავლების სამსახურისთვის პერიოდული დეკლარაციების წარდგენა** - საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების მიზნებისთვის, ორგანიზაციები შემოსავლების სამსახურს ყოველთვიურად წარუდგენენ დეკლარაციას/ინფორმაციას მათ მიერ დაქირავებულებზე, დასაქმებულებსა და სხვა ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხების შესახებ. დეკლარაცია მოიცავს თითოეული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მოქალაქეობრივ მდგომარეობას, ინფორმაციას თითოეულ პირზე გაცემული თანხების ოდენობის, გაცემული თანხის სახისა და დაკავებული გადასახადის ოდენობების შესახებ. გარდა ამისა, ორგანიზაციები ვალდებული არიან ყველა დაქირავებული პირის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემები (პირადი ნომერი, სამუშაო განაკვეთი, სამუშაო სტატუსი და სხვა) ასახონ დაქირავებულ პირთა რეესტრში, რომელიც არის საგადასახადო ორგანოს მართვაში. ქონების და მოგების გადასახადების ადმინისტრირების მიზნებისთვის, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ორგანიზაციები შემოსავლების სამსახურს პერიოდულად წარუდგენენ დეკლარაციებს, რომელიც მათ შორის მოიცავს წლიურ ინფორმაციას ორგანიზაციის აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესახებ.³³
6. **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმები** - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებისას და წესით, ანგარიშვალდებული პირები (ფინანსური ინსტიტუტები, აუდიტორული ფირმა, ნოტარიუსი და სხვა) ვალდებული არიან მოხდინონ კლიენტთა ვერიფიკაცია, დაადგინონ შესაბამისი ოპერაციების საფუძვლები და მიზნები და განახორციელონ სხვა პრევენციული ღონისძიებები. ამასთან, ანგარიშვალდებული პირები შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციას (სსიპ - ფინანსური მონიტორინგის სამსახური) წარუდგენენ ანგარიშგებას საექვო გარიგებების ან/და გარკვეული ოდენობის თანხის ზემოთ განხორციელებული ოპერაციების შესახებ. პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და ანგარიშგების წარდგენა მათ შორის ხდება არასამეწარმეო (იურიდიული) პირების და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ.³⁴
7. **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე განსაკუთრებული ანგარიშგება** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედებს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს წინასწარ თანხმობას და განსაკუთრებულ ანგარიშგებას. ამ ტერიტორიებზე

³² საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

³³ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანება.

³⁴ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის N1 ბრძანება; საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის N2 ბრძანება; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის N48/04 ბრძანება.

საქმიანობის განხორციელება მოითხოვს საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების თანხმობას. ამ ტერიტორიაზე საქმიანობის/პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია დადგენილი წესით სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისგან იღებს თანხმობას საქმიანობის განსახორციელებლად და გარკვეული პერიოდულობით წარუდგენს ინფორმაციას პროექტების განხორციელების შესახებ.³⁵

8. **უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარებების და დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის განთავსება საგარეო დახმარებების ინფორმაციული მართვის სისტემაში** - უცხოური დონორის ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარები და დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია შეიტანება და ყველასათვის ხელმისაწვდომია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მართულ ვებგვერდზე - <https://eaims.ge/>. ის შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მოიპოვოს ინფორმაცია ყველა დონორის, დაფინანსების ტიპის, დაფინანსების ოდენობის, პროექტის და თემატურის მიმართულების შესახებ.

ანგარიშვალდებულების უკვე არსებული სტანდარტების მიუხედავად, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეტი გამჭვირვალობის საჭიროება არსებობს, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია უკვე არსებულ კანონმდებლობაში და აპრობირებულ გამჭვირვალობის მექანიზმებში დამატებითი მოთხოვნების დაწესების გზით. რაც თავის მხრივ არ იქნებოდა წინააღმდეგობაში ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან და არ შეუშლიდა ხელს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო უმრავლესობის „ქართული ოცნების“ მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის ინიცირების შემდეგ, საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატების მიერ ალტერნატიული კანონპროექტის სახით ინიცირებული იქნა ცვლილებები „გრანტების შესახებ“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონებში.³⁶ ალტერნატიული კანონპროექტი ითვალისწინებდა გრანტის მიმღები ორგანიზაციების მიერ, ყოველწლიური ანგარიშის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენას და ამ სამსახურის მართვაში უკვე არსებულ ანგარიშგების პორტალზე საჯაროდ გამოქვეყნებას. ეს უკანასკნელი კი ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის.³⁷ აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული მიდგომების გამოყენებისკენ „ქართულ ოცნებას“ მიუთითებდა საქართველოს სახალხო დამცველიც.³⁸ ალტერნატივების არსებობის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობამ „ქართულმა ოცნებამ“ უარყო ალტერნატიული წინადადება. აღნიშნული მიუთითებს, რომ მმართველი ძალის რეალური მიზანი იყო უცხოური დაფინანსების/შემოსავლის მქონე ყველა ორგანიზაცია, დაფინანსების მიზნის და დაფინანსების გამცემი სუბიექტის მიუხედავად, აღიაროს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად.

³⁵ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ოქტომბრის N320 დადგენილება. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდი - <https://smr.gov.ge/>

³⁶ ალტერნატიული საკანონმდებლო წინადადება. <https://parliament.ge/legislation/28377>

³⁷ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების ადა აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მართვაში არსებული ანგარიშგების პორტალი: <https://reportal.ge/>

³⁸ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-sakartvelos-kanonis-proektan-dakavshirebit>

IV. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მარეგისტრირებელი კანონმდებლობა

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი რომელიც რეგისტრაციის და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის უფლებამოსილების წარმოშობა-შეწყვეტის ნაწილში გავრცელდა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზეც. გარდა ამისა, ძირითადად ყველა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირისთვის, მათ შორის ა(ა)იპ-ებისთვის, დადგინდა საქმიანი წერილის და ოფიციალური ვებგვერდის მინიმალური სტანდარტები.

განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2022 წლამდე შექმნილი სუბიექტები, მათ შორის ა(ა)იპ-ები, ვალდებული იყვნენ 2024 წლის 1 იანვრამდე სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანონ „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნებთან. სუბიექტების მიერ ამ ვალდებულების შესრულება გულისხმობს, მარეგისტრირებელ ორგანოში სადამფუძნებლო დოკუმენტების/წესდების ხელახლა წარდგენას და რეგისტრაციის პროცედურების ფაქტობრივად ხელახლა გავლას. სამეწარმეო სუბიექტებისთვის ამ ვალდებულების დაკისრება ერთგვარად გამართლებულია, ვინაიდან მათთვის დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნები არსებითად შეიცვალა და ბუნებრივია არსებობს ამ შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურების საჭიროება. თუმცა, ა(ა)იპ-ებისთვის ასეთი ვალდებულების დაკისრება არ არის დასაბუთებული, იმის გათვალისწინებით, რომ მათთვის დადგენილი შინაარსობრივი ნაწილი კანონმდებლობაში არ შეცვლილა (ძირითადად შეიცვალა მხოლოდ პროცედურული კომპონენტი).

ა(ა)იპ-ების მიერ ამ პროცედურების გავლა საჭიროებდა დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების გაღებას, ხოლო ისედაც მწირი რესურსების (შემოსავლების გენერირების სპეციფიკებიდან გამომდინარე თავისუფალი ფინანსური რესურსების არ არსებობა) გათვალისწინებით, ეს დაუსაბუთებელ დამატებით ტვირთად აწვებოდა ორგანიზაციებს. შესაბამისობისთვის დადგენილი ვადების თითქმის გასვლამდე, ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა გაიარა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტების ძალიან მცირედმა ნაწილმა. აქედან გამომდინარე, პარლამენტი იძულებული იყო სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობის ვადა გაეზარდა სამეწარმეო სუბიექტებისთვის. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, მათ ეს ვალდებულება მოეხსნათ და შესაბამისობის პროცედურების გავლა მათთვის ნებაყოფლობითი გახდა.

V. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონმდებლობა - ე.წ. „ანტი-ლგბტ“ კანონმდებლობა

5.1. კანონმდებლობის მიღება

2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო და 2024 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე ცვლილებები 18 საკანონმდებლო აქტში. საკანონმდებლო პაკეტი ინიცირებულია საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატების მიერ.³⁹ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვაში არ მონაწილეობდა ძირითადი ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს ხელი არ მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა და შესაბამისად იგი გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ოჯახური ღირებულებების დაცვის რეგულირების საკითხი საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან თავდაპირველად ინიცირებული იქნა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ფორმით. კერძოდ, 2024 წლის 3 აპრილს საქართველოს პარლამენტის 83-მა წევრმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტები (N407-3/432 ; 03.04.2024).⁴⁰ კონსტიტუციური ცვლილებების ინიციატივის განხილვაში არ მონაწილეობდა ძირითადი ოპოზიციური ჯგუფები და კონსტიტუციური ცვლილებების მიღებისთვის არასაკმარისი ხმების გათვალისწინებით, მისი პარლამენტში განხილვის შემდგომი ეტაპები არ გაგრძელებულა. შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების მიერ 2024 წლის 4 ივნისს დამატებით ინიცირებული იქნა და შემდგომ მიღებული იქნა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც შედგება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონპროექტისგან და 18 საკანონმდებლო აქტში ცვლილებების პროექტებისგან.

5.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირება

მიღებული კანონებით განისაზღვრება ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინების ალტერნატიული კავშირების რეგისტრაცია/აღიარების, არასრულწლოვანის შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდასთან, ადამიანის თავისი ბიოლოგიურის სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით სამედიცინო მანიპულაციის გამოყენებასთან, სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტში სქესის მითითებასთან, განათლებასთან, ინფორმაციის გავრცელებასთან, საჯაროდ შეკრებასა და

³⁹ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საკანონმდებლო პაკეტის, მასთან ასოცირებული ფაილებისა და მათი განხილვის შესახებ. <https://www.parliament.ge/legislation/28703>

⁴⁰ იხილეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ცვლილებების პროექტი საქართველოს კონსტიტუციაში და საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი. <https://parliament.ge/legislation/28352>

მანიფესტაციის ჩატარებასთან და სხვა შეზღუდვები. გარდა ამისა, ამ შეზღუდვების დარღვევისთვის კანონმდებლობით დგინდება შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

1. **ქორწინების და ქორწინების ალტერნატიული კავშირების რეგისტრაციის ან აღიარების დაუშვებლობა** - დაუშვებელია ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის⁴¹ წარმომადგენლებს შორის კავშირის, როგორც ქორწინების, რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით ქორწინებად აღიარება. აგრეთვე, დაუშვებელია ქორწინების ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით აღიარება. გარდა ამისა, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ასეთი ქორწინებას ან ქორწინების ალტერნატიულ კავშირებს საქართველოში იურიდიული ძალა არ აქვს.⁴²
2. **არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემის დაუშვებლობა** - დაუშვებელია არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან არასრულწლოვანის მინდობით აღსაზრდელად იმ ადამიანისთვის გადაცემა, რომელიც თავს არცერთ ბიოლოგიურ სქესს არ მიაკუთვნებს ან თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ანდა რომლის სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება.⁴³
3. **სქესის შეცვლის მიზნით სამედიცინო მანიპულაციების დაუშვებლობა** - დაუშვებელია ადამიანის მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით მისთვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან მის მიმართ სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება. ამ აკრძალვის დარღვევისათვის დადგინდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ფიზიკური პირი ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე. ამასთან, ამ ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით.⁴⁴
4. **ოფიციალურ დოკუმენტებში ადამიანის ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითების დაუშვებლობა** - დაუშვებელია სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას ან მასში ცვლილების განხორციელებისას, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ადამიანის სქესად მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის

⁴¹ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ბიოლოგიური სქესი განიმარტება, როგორც მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული სქესი. (მუხლი 2).

⁴² [საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ](#) (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); [საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#) (N4438-XVIმს-Xმპ; 7/09/2024); „[სამოქალაქო აქტების შესახებ](#)“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4442-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

⁴³ [საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ](#) (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „[შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ](#)“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4439-XVIმს-Xმპ; 17/09/2024);

⁴⁴ [საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ](#) (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „[ჯანმრთელობის დაცვის შესახებ](#)“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4441-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#) (N4454-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

პირადობის და მოქალაქეობრივი მდგომარეობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ადამიანის სქესის მითითებაზე. ამ აკრძალვებიდან გამონაკლისები, რომლებიც დაკავშირებულია ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებთან, განისაზღვრება შესაბამისი კანონებით. ამავდროულად, ყველა სხვა დოკუმენტში რომელსაც გასცემს საქართველოს სახელმწიფო ადამიანის სქესად შეიძლება მიეთითოს მხოლოდ ის ბიოლოგიური სქესი, რომელიც ზემოთ მოცემულ რომელიმე დოკუმენტშია მითითებული. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაუშვებელია საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ ისეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება ან/და უცხო ქვეყნის ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომელიც ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას გულისხმობს.⁴⁵

5. **საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საგანმანათლებლო პროგრამებში ინფორმაციის შეტანის/გავრცელების დაუშვებლობა** - დაუშვებელია ადრეული ან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და ამავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან ისეთი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁴⁶ ამ შეზღუდვების დარღვევისთვის დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით. კერძოდ, დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 4 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ქმედების ჩადენა უკვე დანაშაულად არის

⁴⁵ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4442-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4443-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

⁴⁶ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინი პოპულარიზაცია განიმარტება შემდეგნაირად - ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაცია/ქმედება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ინფორმაცია/ქმედებად მიიჩნევა, თუ, ობიექტური დამკვირვებლის აზრით, აღნიშნული ინფორმაცია/ქმედება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატულ ურთიერთობას ან ინცესტს დადებითად ან/და მისაბამად წარმოაჩენს. (მუხლი 3).

ადიარებული. ამ შემთხვევაში, პირი დაისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.⁴⁷

6. **მაუწყებლობის ეთერით ინფორმაციის გავრცელების დაუშვებლობა** - დაუშვებელია მაუწყებლის⁴⁸ მიერ თავისი ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁴⁹ ეს აკრძალვა მაუწყებლის ეთერში შემოქმედებითი ნაწარმოების განთავსების მიმართ გულისხმობს მხოლოდ ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ინტიმური ურთიერთობის ან ინცესტის ამსახველი სცენის მაუწყებლის ეთერით გავრცელების დაუშვებლობას. ამ აკრძალვის დარღვევა მაუწყებელს არ შეერაცხება, თუ იგი შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაზე ფაქტობრივ კონტროლს არ ახორციელებდა.⁵⁰
7. **რეკლამის გავრცელების დაუშვებლობა** - დაუშვებელია ისეთი რეკლამის,⁵¹ ტელეშოპინგის ან სასპონსორო განცხადების განთავსება ან პროგრამაში ისეთი პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁵² რეკლამასთან დაკავშირებული ამ

⁴⁷ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4445-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4446-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4447-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4444-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); ბავშვის უფლებათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4440-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N4453-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4454-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

⁴⁸ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაუწყებლად ითვლება – საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ამ კანონის საფუძველზე ტელემაუწყებლობის ან/და რადიომაუწყებლობის განმახორციელებელი ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირი. (მუხლი 2).

⁴⁹ ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

⁵⁰ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4450-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4448-XVIმს-Xმპ; 17/09/2024);

⁵¹ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რეკლამა განიმარტება – საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

⁵² ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შეზღუდვის დარღვევაზე დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით. კერძოდ, დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 2500 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ქმედების ჩადენა უკვე დანაშაულად არის აღიარებული და პირი დაისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.⁵³

8. **ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციისას** - დაუშვებელია არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდება (გაზიარება) ან/და ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁵⁴ არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გულისხმობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სუბიექტმა არასრულწლოვანი დაუშვა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ინფორმაცია სიტყვიერად, ხმოვანი მოწყობილობით ან/და ვიზუალურად ვრცელდება, თუ აღნიშნულ სუბიექტს ამ არასრულწლოვანის ასეთ ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდვის უფლება და გონივრული შესაძლებლობა ჰქონდა. არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციისას ინფორმაციის მიწოდების ამ შეზღუდვის დარღვევისთვის დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით. კერძოდ, დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 3 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ქმედების ჩადენა უკვე დანაშაულად არის აღიარებული და პირი დაისჯება

⁵³ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4450-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4448-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4449-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N4453-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4454-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

⁵⁴ ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.⁵⁵

9. **საჯარო შეკრების და მანიფესტაციის აკრძალვა** - დაუშვებელია საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და ისეთი მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁵⁶ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით. ამასთან, „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით. საჯარო შეკრების დაუშვებლობასთან დაკავშირებული ამ მოთხოვნის დარღვევა გამოწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია – მის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. რაც შეეხება შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ის შეიძლება განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსში შეკრებებისა და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ზოგადი მუხლით, რომლის მიხედვითაც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა ამ აქციის ორგანიზატორის მიერ, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.⁵⁷
10. **შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავების ვალდებულების დაკისრების აკრძალვა.** ოჯახის სიწმინდის დღის საკანონმდებლო აღიარება - ბათილია შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი მითითების ან/და შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დადებული ნებისმიერი

⁵⁵ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); ზავშვის უფლებათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4440-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4450-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N4453-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4454-XVIმს-Xმპ; 17/09/2024).

⁵⁶ ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

⁵⁷ საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ (N4437-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4451-XVIმს-Xმპ; 17/09/2024); საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 174¹; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 347.

შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ბიოლოგიური სქესის⁵⁸ ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს. ეს შეზღუდვა ასევე დადგინდა საქართველოს შრომის კოდექსით. ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისთვის, რაც გამოხატება გაფრთხილებაში ან ამ კოდექსით დადგენილი ოდენობის ჯარიმის დაკისრებაში. (საქართველოს შრომის კოდექსის 77-ე მუხლი). 17 მაისი კანონით გამოცხადდა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე.⁵⁹

5.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებები და დასკვნები

საკანონმდებლო პაკეტის მიღებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, Freedom House-ის,⁶⁰ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის,⁶¹ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების,⁶² სხვა საერთაშორისო ინსტიტუციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გამოუგზავნა მოწერილობა საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით, რომლის მოსაზრებითაც კანონპროექტები ქმნის ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის სამართლებრივ საფუძველს და, როგორც ჩანს, არსებობს შეუსაბამობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. კომისარი დეტალურად მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე რომელთან შეუსაბამოც არის მიღებული კანონები.⁶³

ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვნის დაცვის კანონმდებლობა თავდაპირველად ინიცირებული იქნა საკონსტიტუციო კანონმდებლობის ფორმით და საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ინსტიტუციებმა, ექსპერტული მოსაზრებები უწინარეს ყოვლისა მათ საფუძველზე ჩამოაყალიბეს. ვინაიდან, საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მიღებული კანონმდებლობა, თავდაპირველად ინიცირებული საკონსტიტუციო კანონმდებლობის პროექტების მსგავსია არსით, პრინციპებით და ძირითადი რეგულირებებით, ამ უკანასკნელზე

⁵⁸ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ბიოლოგიური სქესი განიმარტება, როგორც მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული სქესი. (მუხლი 2).

⁵⁹ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ (N4455-XVI0ს-X03; 17/09/2024); „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N4452-XVI0ს-X03; 17/09/2024); „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N4453-XVI0ს-X03; 17/09/2024); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (N4454-XVI0ს-X03; 17/09/2024).

⁶⁰ Freedom House-ს განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://x.com/freedomhouse/status/1836057063744471282>

⁶¹ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.facebook.com/share/p/dSa3hT5PCBJAJSun/>

⁶² „საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/844?fbclid=IwY2xjawFWPKhleHRuA2FlbQIxMQABHZtp6KfSZTEwQ7Iz%20tBI4uesGvKBYk09BTjNYGEk5b2_K67zJ27sII3IC-Q_aem_ZtgiZdKaWw6HwDt-mOA4Qw

⁶³ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიწერილობა, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/letter-to-chairman-of-parliament-georgia-by-michael-o-flaherty-coucil-/1680b18c78>

გამოთქმული მოსაზრებები ძირითად ნაწილში, უკვე მიღებული კანონმდებლობის მიმართაც შეიძლება გამოყენებადი იყოს.

საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით (საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების და კონსტიტუციური კანონის პროექტებთან დაკავშირებით) თავისი დასკვნა გასცა ვენეციის კომისიამ.⁶⁴ მოცემულ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისა და ვენეციის კომისიის წინა დასკვნების გათვალისწინებით, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემული დებულებების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ვერ დგინდება, დასკვნაში ჩამოთვლილ მიზეზთა გამო და ამ მისი მიღების შესახებ შეთავაზებაც კი საფრთხეს ქმნის, რომ (კიდევ უფრო) გამძაფრდება მტრული და მასტიგმატიზებული ატმოსფერო ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ საქართველოში. ამრიგად, კომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სრულად გადაეხედა ამ საკანონმდებლო წინადადებისათვის და არ გაეგრძელებინა მისი მიღების პროცესი. (პარაგრაფი 104).

ვენეციის კომისიის მოსაზრებები მათ შორის მიუთითებს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- ქვეყნის მიერ ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინების შეზღუდვა/აკრძალვა შესაბამისობაშია კონვენციის სტანდარტებთან, თუმცა ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ალტერნატიული სამოქალაქო კავშირების/სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის გამორიცხვა გამოიწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების დარღვევას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მუხლები: მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა). (პარაგრაფები 27-35).
- ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს შვილად აყვანის უფლებას და სახელმწიფოებს არც დაუქორწინებელი წყვილებისთვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებას ავალდებულებს. მაგრამ, თუ სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდით გადაცემის უფლების შეზღუდვა და განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ განმცხადებლის სექსუალურ ორიენტაციასთან არის დაკავშირებული, მაშინ კონვენციის შესაბამისად, იგი წარმოადგენს დისკრიმინაციას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მუხლები: მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა). (პარაგრაფები 36-40).
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, იმ კანონის არ არსებობა, რომელიც არეგულირებს სრული სქესის შეცვლის ოპერაციას, წარმოადგენს კონვენციის დარღვევას იმდენად, რამდენადაც იგი ქმნის შემამფოთებელი გაურკვევლობის სიტუაციას ადამიანის პირად ცხოვრებასთან და მისი ნამდვილი იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებით. ასეთი ქირურგიული ჩარევის აბსოლუტური აკრძალვა („ნებისმიერი სამედიცინო ინტერვენცია“) ანუ გენდერის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე აბსოლუტური შეზღუდვის დაწესება, ვერ იქნება

⁶⁴ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), 25 ივნისი 2024 წელი. კონსტიტუციურ კანონზე დასკვნა ხელმისაწვდომია ბმულზე (ინგლისური და ქართული ვერსიები): [Venice Commission :: Council of Europe Venice Commission :: Council of Europe / https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e)

თავსებადი კონვენციის მოთხოვნებთან (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). (პარაგრაფები 42-48).

- კანონში სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული კონცეფციები ჩამონათვალში გაერთიანებულია ინცესტთან, თითქოს, ისინი ერთსა და იმავე ჯგუფს მიეკუთვნება, კომისიის მოსაზრებით, ინცესტს არაფერი აქვს საერთო სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის კონცეფციებთან. ინცესტი სისხლის სამართლის რეგულირების სფეროა და მას მსგავსად ტერმინისა „პედოფილია“ ძლიერი უარყოფითი კონოტაცია და სიმძიმე აქვს, ხოლო სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა აღიარებულია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალული ნიშნები. კომისია მითითებას აკეთებს პედოფილიის შესახებ წინა დასკვნებზე და სასამართლოს განმარტებებზე, რომელშიც აღინიშნა, რომ ამ სახის კანონმდებლობა „ინსინუირებს, რომ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა დაკავშირებულია ბავშვთა უფლებების დარღვევასთან. ორივე დამამცირებელი, მასტიგმატიზებული და დისკრიმინაციულია.“ კომისია მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე რომელშიც დადგინდა, რომ ჰომოსექსუალობასა და პედოფილიას შორის პარალელების გავლების მცდელობები იყო „მიუღებელი“. კომისიის მოსაზრებით, იგივე მსჯელობა მოქმედებს „ინცესტთან“ დაკავშირებითაც, ვინაიდან ტერმინ „პედოფილიას“ ტერმინ „ინცესტის“ მსგავსი ნეგატიური კონოტაცია და სიმძიმე აქვს. (პარაგრაფები 68-72)
- შეკრების გამართვისა და ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით შემოთავაზებული შინაარსის რეგულირება არ პასუხს კონვენციის სტანდარტებს. კანონმდებლობის სათაურში გაცხადებული ლეგიტიმური მიზანი, მდგომარეობს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანების დაცვაში. ეს მიზანი, ცალკე აღებული, შესაძლოა ლეგიტიმურად ჩაითვალოს, რადგან იგი ხვდება მორალისა და სხვების უფლებების დაცვის ფარგლებში, თუმცა კანონპროექტი ვერ განმარტავს, თუ მოცემული აკრძალვები როგორ ემსახურება აღნიშნულ მიზანს. კომისია მიუთითებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ოჯახური ღირებულებების, როგორც საზოგადოების ფუნდამენტის დაცვა და ჰომოსექსუალობის სოციალური აღიარება ერთმანეთთან შეუთავსებელია. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებელი იქნება, თუ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება უმცირესობის ჯგუფის მიერ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ეს ჯგუფი უმრავლესობისთვის. ასე რომ იყოს, რელიგიის, გამოხატვის და შეკრების თავისუფლება უმცირესობების შემთხვევაში მხოლოდ თეორიული იქნებოდა, ნაცვლად პრაქტიკულისა და ეფექტურისა, რასაც ითხოვს კონვენცია. ამას გარდა, რაც შეეხება არასრულწლოვანთა დაცვის საფუძველს, კანონის მოქმედების სფერო ზედმეტად ინკლუზიურია, რადგან განსახილველი დებულებები არ შემოიფარგლება მხოლოდ უზამსობებით ან ერთნაირსქესიანთა შორის ურთიერთობების პროვოკაციული წახალისებით, არამედ, ჩანს, რომ ისინი ვრცელდება ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაზე, ერთნაირსქესიანი ურთიერთობებისა და განსხვავებული გენდერული იდენტობების მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების ადვოკატირებაზე. ვენეციის კომისია მიუთითებს ევროპული სასამართლოს შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულება ან სოციალური

მონაცემები, რომელიც ადასტურებს, რომ ჰომოსექსუალობის მხოლოდ ხსენებაც კი ან საჯარო დებატები სექსუალური უმცირესობების სოციალური სტატუსის შესახებ უარყოფით გავლენას მოახდენს ზავშვებზე ან „მოწყვლად ზრდასრულებზე“, არამედ, მხოლოდ სამართლიანი და საჯარო დებატების საშუალებით შეუძლია საზოგადოებას ასეთი კომპლექსური საკითხების განხილვა. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ ამ კანონის მიღებით, ხელისუფლება ქმნის სტიგმისა და წინასწარგანწყობის გამყარებისა და ჰომოფობიის წახალისების რისკს, რაც შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თანასწორობის, პლურალიზმისა და ტოლერანტობის ცნებებთან (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მუხლები: მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება; მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება; მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა; კონვენციის N12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი - ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება). (პარაგრაფები 73-88).

ვენეციის კომისიის, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციის წარმომადგენელთა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებით, აღნიშნული კანონმდებლობა არსებული ფორმით, არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან, ზრდის სტიგმისა და წინასწარგანწყობის გამყარებისა და ჰომოფობიის წახალისების რისკებს. ეს კანონმდებლობა პრობლემური და შემაფერხებელი შეიძლება იყოს ლგბტ თემის საჭიროებების მიმართულებით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, ამ თემის საჭიროებების ადვოკატირების, მათი უფლებების დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის, თუ ამ თემის მიმართ არსებული სტიგმის შემცირების ხელშეწყობის მიმართულებით საქმიანობის განხორციელებაში.

ასეთი კანონების არსებობა, ერთი მხრივ, ქმნის მტრულ გარემოს ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებისთვის და მათ მდგომარეობას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის, ხოლო მეორე მხრივ, კანონის ფართო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, შეუძლებელი იქნება მათ მიერ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება. კანონით აკრძალული ხდება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას, აგრეთვე ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის „პოპულარიზაცია“. აღნიშნული თავის მხრივ გულისხმობს ისეთი ქმედების ან ინფორმაციის გავრცელების დაუშვებლობას რომელიც ამ მოცემულობას ან ამ სახის ურთიერთობებს დადებითი კონოტაციით (დადებითად ან/და მისაბამად წარმოჩენა) მოიხსენიებს. ფართოდ ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, აკრძალვა მათ შორის შეიძლება შეეხოს ნებისმიერ მცდელობას შეცვალოს მოსახლეობის ნაწილის დამოკიდებულება ლგბტ ადამიანის მიმართ, ნებისმიერ მცდელობას დააბალანსოს ღრმად ფესვგადგმული წინასწარგანწყობები ლგბტ საკითხებზე მიუკერძოებელი და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელების გზით. კანონის ასეთი გამოყენება, ბუნებრივია შეუძლებელს გახდის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ისეთი მიმართულებებით როგორცაა საზოგადოების ინფორმირება, განათლება და ლგბტ თემის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ადვოკატირება.

VI. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები

6.1. კანონმდებლობის მიღება

უკანასკნელი პერიოდი გამორჩეული იყო შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შემზღუდველი კანონმდებლობის მიღებით. 2024 წლის 17 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი, რომლის ნაწილი მოიცავს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მარეგულირებელ ცვლილებებსაც. კერძოდ, დადგინდა საჯარო შეკრების აკრძალვის ახალი საკანონმდებლო საფუძველი. დაუშვებელი გახდა საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და ისეთი მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁶⁵ საჯარო შეკრების დაუშვებლობასთან დაკავშირებული ამ მოთხოვნის დარღვევა გამოწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

2024 წლის დეკემბერში „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული იქნა ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში⁶⁶ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ცვლილებები ინიცირებული იქნა 2024 წლის 4 დეკემბერს, განხილული იქნა დაჩქარებული წესით და საბოლოო რედაქციით მიღებული იქნა 13 დეკემბერს. ცვლილებების მიხედვით დაწესდა შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებაზე ახალი შეზღუდვები (სახის დაფარვის და გარკვეული ტექნიკური საშუალებების გამოყენების აკრძალვა), დადგინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ახალი სახეები და არსებითად გაიზარდა ადმინისტრაციული სანქციები რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილის მიმართ. აგრეთვე, დაემატა ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძველები, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს შეკრების მონაწილის მიმართ (მათ შორის დაემატა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თავიდან აცილების პრევენციის საფუძველი).

6.2. ცვლილებებით გათვალისწინებული რეგულირება

საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეს დაუდგინდა **ახალი შეზღუდვა, სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის აკრძალვის სახით**. ამ მოთხოვნის დარღვევა განისაზღვრა როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და იგი გამოიწვევს

⁶⁵ ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

⁶⁶ საქართველოს კანონი „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ ((176-IX-XIმპ; 13/12/2024); საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (169-IX-XIმპ; 13/12/2024).

დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით („შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 11; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 174¹).

- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეს დაუდგინდა **ახალი შეზღუდვა და აკრძალა თან იქონიოს ლაზერული გამოსხივების ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალება**, რომლის გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას ან/და მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას. ამ მოთხოვნის დარღვევა განისაზღვრა როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და იგი გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით („შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 11; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 174¹).
- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეს დაუდგინდა **ახალი შეზღუდვა და აკრძალა თან იქონიოს პიროტექნიკური ნაწარმი**. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას რაც დადგენილია „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 11¹ მუხლების დარღვევისთვის. ამ მუხლების დარღვევისთვის ცვლილებებით გაიზარდა ჯარიმის ოდენობა და **ჯარიმა გახდა 5000 ლარი** (ნაცვლად 500 ლარისა), ხოლო ორგანიზატორისთვის **15000 ლარი** (ნაცვლად 5000 ლარისა). უცვლელი დარჩა სახდელის სახით 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა ორგანიზებისა და ჩატარების წესების დარღვევისთვის („შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 11; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 174¹).⁶⁷
- მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას **დაემატა ისეთი ქმედებების ჩადენა როგორებიცაა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პიროტექნიკის ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევა** (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე და 156⁴ მუხლის მე-3 მე-7 ნაწილები).
- **ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად დადგინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის უკანონოდ ტარება** ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილი ფორმის ტანსაცმლისთვის ანდა ატრიბუტიკისთვის მიმსგავსებული ტანსაცმლის/ატრიბუტიკის ტარება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურე, რასაც შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით შეცდომაში შეჰყავს ობიექტური დამკვირვებელი. აღნიშნული

⁶⁷ საკანონმდებლო ცვლილებებით პიროტექნიკური ნაწარმი საფრთხის შემცველ პროდუქტად იქნა მიჩნეული და მისი წარმოება, რეალიზაცია, იმპორტი და ექსპორტი, დაექვემდებარა სალიცენზიო/სანებართვო წესებს. აგრეთვე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგინდა მისი რეალიზაციის, შექმნის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევისთვის („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლები: 6.90; 6.91; 24.57; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 156⁴). აღსანიშნავია, რომ პიროტექნიკის მიმოქცევისა და მოხმარებასთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო ცვლილება, გარდა შეკრება/მანიფესტაციაზე პიროტექნიკური ნაწარმის ქონის აკრძალვისა, ამოქმედდება 2025 წლის პირველი აპრილიდან. საპროტესტო აქციაზე პიროტექნიკის ქონა კი აკრძალა საკანონმდებლო ცვლილებების გამოქვეყნებისთანავე.

სამართალდარღვევისთვის სანქციად გათვალისწინებულია 2 000 ლარი, საგნის კონფისკაციით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 198³ მუხლი).

- **გაიზარდა იმ საფუძველთა ჩამონათვალი, რომელთა გამოც დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება**, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უკვე არსებულ საფუძველებს დამატა ისეთი საფუძველები, როგორცაა: სამართალდარღვევის სასამართლოში დროულად წარდგენა და საქმის გაჭიანურების თავიდან აცილება; ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობისთვის თავის არიდების პრევენცია; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენცია (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი).
- **არსებითად არის გაზრდილი შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები**. ეს სანქციები გაზრდილია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, მე-11 მუხლით და 11¹ მუხლით დადგენილი შეზღუდვების დარღვევისას, გარდა პირბადის გამოყენებისა და ლაზერული/მკვეთრი გამოსხივების მქონე საგნების გამოყენების წესების დარღვევისა, რომელზეც ცალკე დადგინდა სანქციები. ეს ნორმები ძირითადად უკავშირდება აკრძალულ ადგილებში შეკრებების ჩატარების და შენობების შესასვლელების ბლოკირების აკრძალვას, აკრძალული მოწოდებების გაკეთებას, აკრძალული ნივთების/საგნების ქონას და მონაწილეთა მცირე რაოდენობის მიუხედავად ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვას. ახალი რედაქციით გაზრდილია ჯარიმის ოდენობა, კერძოდ 500 ლარის ნაცვლად **ჯარიმა გახდა 5000 ლარი**, ხოლო ორგანიზატორების შემთხვევაში 5000 ლარის ნაცვლად **გახდა 15000 ლარი**. უცვლელი დარჩა სახდელის სახით 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლი).
- **გამკაცრდა პასუხისმგებლობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის**, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული. ამ დარღვევისთვის პირს დაეკისრება ჯარიმაც 1000 ლარის ოდენობით და **ამავდროულად 1 წლით ჩამორთმევა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც**. ანუ პირს ერთდროულად ორივე სახდელი დაეკისრება. ცვლილებამდე გათვალისწინებული იყო მხოლოდ ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6¹ ნაწილი).
- **არსებითად გაიზარდა ჯარიმების ოდენობა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის ისეთი დამახინჯებისთვის** როგორცაა - სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ლობებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ლობებისა და შენობების შეუღებად მიტოვება. ჯარიმა ამ სამართალდარღვევისთვის შეადგენს **1000 ლარს** ნაცვლად 50 ლარისა (თბილისში მანამდე შეადგენდა 200 ლარს, ხოლო ცვლილებების მიხედვით იქნება 1000 ლარი). იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით** ნაცვლად 500 ლარისა. თბილისში მანამდე შეადგენდა 1000 ლარს, ხოლო ცვლილებების მიხედვით იქნება 2000 ლარი. გარდა ამისა, ამ დარღვევის

გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში დამატებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 150 და 150²).

- **არსებითად გაიზარდა ჯარიმების ოდენობა ადმინისტრაციული ორგანოებისა და საჯარო სივრცეების ტერიტორიის იერსახის ისეთი დამახინჯებისთვის** როგორცაა - სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე. ჯარიმა ამ სამართალდარღვევისთვის შეადგენს **2000 ლარს** ნაცვლად 500 ლარისა (თბილისში მანამდე შეადგენდა 1000 ლარს, ხოლო ცვლილებების მიხედვით იქნება 2000 ლარი). იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას **3000 ლარის** ოდენობით ნაცვლად 1000 ლარისა (თბილისში მანამდე შეადგენდა 2000 ლარს, ხოლო ცვლილებების მიხედვით იქნება 3000 ლარი). გარდა ამისა, ამ დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში დამატებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 150 და 150²).
- **ასევე გაიზარდა ჯარიმის ოდენობა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში (ნებისმიერ მუნიციპალიტეტში მათ შორის თბილისში) ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის.** სამართალდარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას **2 000 ლარის** ოდენობით, ნაცვლად 1 000 ლარისა. განმეორებით იგივე ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას **3 500 ლარის** ოდენობით, ნაცვლად 2 000 ლარისა. გარდა ამისა, ამ დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში დამატებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 150 და 150²).
- **არსებითად გაიზარდა ჯარიმის ოდენობა ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის როგორცაა ვანდალიზმი** (მოედანზე, გზაზე, პარკში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული ინფრასტრუქტურის/ინვენტარის, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ობიექტის, მათ შორის, საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, გარესამეთვალყურეო კამერის, განზრახ დაზიანება ან განადგურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული ინვენტარის განზრახ დაზიანება ან განადგურება). ვანდალიზმი გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის** ოდენობით ნაცვლად 300 ლარისა, ხოლო ამ სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იგივე სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის** ოდენობით ნაცვლად 500 ლარისა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 166²).

6.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებები

ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების შეფასებით, შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის

უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან და მიმართულია სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის გამოყენების გაადვილებისკენ. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სახის დაფარვის აკრძალვა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციების დასკვნებზე დაყრდნობით შეფასებულია, როგორც ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელი. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიხედვით, არ უნდა არსებობდეს ბლანკეტური ან რუტინული აკრძალვა შეკრებაზე ნიღბის ტარებასთან დაკავშირებით. შეკრებაზე ნიღბის ტარება შესაძლოა იყოს გამოხატვის და კომუნიკაციის ფორმა, რომელიც დაცულია სიტყვისა და შეკრების თავისუფლებებით. ნიღბის ტარება შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვა ლეგიტიმურ მიზანთან, მაგალითად, ემსახურებოდეს შემდგომი ანგარიშსწორებისაგან თავდაცვას. დემონსტრაციაზე ნიღბის ტარება არ უნდა იყოს აკრძალული, თუ არ არსებობს მყისიერი ძალადობის აშკარა მტკიცებულება. პირს არ უნდა მოსთხოვონ, მოიხსნას ნიღაბი, თუ მისი ქცევა არ ქმნის სავარაუდო დაკავების საფუძველს.⁶⁸ გარდა ამისა, სახეზეა შეკრებებსა და მანიფესტაციებთან დაკავშირებულ ქმედებებზე სანქციების დაუსაბუთებელი და არაპროპორციული ზრდა და ახალი საფუძვლები დამატება, რაც მიმართულია იქითკენ რომ მოქალაქეებს გაურთულდეთ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებით სარგებლობა, სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული მექანიზმების ამოქმედების საფრთხის გათვალისწინებით.

VII. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება

7.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები

მსოფლიოს გარეშემო მრავალ ქვეყანას გააზრებული აქვს მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების და მისი ორგანიზებული ნაწილის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შესაძლებლობების გასაძლიერებლად ბევრმა ქვეყანამ შექმნა დაფინანსების მექანიზმები და ინსტიტუციები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა მოდელები და მექანიზმები არსებობს, რომლის ერთ-ერთი მექანიზმიც არის პირდაპირი დაფინანსება - საგრანტო დაფინანსების სახით. კარგი პრაქტიკის მიხედვით, ასე დაფინანსების მექანიზმების საერთო მიზანი არის ორგანიზაციების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათი რეალური მონაწილეობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური მიზნების მიღწევის პროცესში.⁶⁹ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება მეტნაკლებად დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან და რისკებთან (სსო-ების დამოუკიდებლობის შემცირება, სსო-ებზე სახელმწიფოს კონტროლის გაზრდა, სსო-ების სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაზრდა და სხვა). ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების

⁶⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება. იხილეთ ვებგვერდზე: <https://www.gyla.ge/post/nigbis-akrdzalva>

⁶⁹ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები, CSI, 2017. https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/STATE_FUNDING_FOR_CIVIL_SOCIETY_ORGANIZATIONS_geo.pdf.pdf / Standards and Good Practices for Public Funding of Civil Society Organisations, ECNL, 2020. https://ecnl.org/sites/default/files/2020-09/TUSEV%20Public%20Funding%20Report_Final.pdf

შემზღვევლი და მასტიგმატიზებული სამართლებრივი გარემოს პირობებში, სახელმწიფო მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსების მექანიზმების გამოყენებისას, ეს რისკები მნიშვნელოვნად შეიძლება გაიზარდოს და სამოქალაქო სექტორზე პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს.

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების საფუძვლები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება. ეს კანონი იძლევა გრანტის განმარტებას, განსაზღვრავს გრანტის გამცემი და მიმღები სუბიექტების ჩამონათვალს და გრანტის გაცემის ძირითად სამართლებრივ საფუძველს. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის რაოდენობა და გრანტის გაცემის მიმართულებები იცვლება წლიდან-წლამდე. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ცვლილებები შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში,⁷⁰ რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო დონეზე გაიზარდა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციების რაოდენობა და მას დაემატა აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილი და აღნიშნული მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (რომლის წესდების/დებულების მიზანია ახალგაზრდული პროექტების განხორციელება, დასაქმების ხელშეწყობა), აგრეთვე სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“.⁷¹ შესაბამისად, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, გრანტის გამცემი შეიძლება იყოს საქართველოს მთავრობის ან კანონის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო ან ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილი და მის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების რამდენიმე სამინისტრო, აგრეთვე რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში პრაქტიკულადაც გასცემენ საგრანტო დაფინანსებას. მიუხედავად გრანტის გამცემი მრავალი საჯარო ინსტიტუციისა, არ არსებობს საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის ერთიანი მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტები, შესაბამისად გრანტის გაცემის საკითხები რეგულირდება მრავალი კანონქვემდებარე აქტით, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებულია და შესაბამისად საგრანტო დაფინანსების გაცემის პრაქტიკაც განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ დარგობრივი საკანონმდებლო აქტები ადგენს მხოლოდ ამა თუ იმ საჯარო ინსტიტუციის შესაძლებლობას გასცეს გრანტი, ხოლო გრანტის გაცემის პრინციპები/სტანდარტები და გაცემის წესები/პროცედურები დგინდება სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

⁷⁰ 1) ცვლილებები “გრანტების შესახებ საქართველოს კანონში, 1483-VIIIმს-Xმპ; 12/04/2022 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5432991?publication=0> 2) ცვლილებები “გრანტების შესახებ საქართველოს კანონში”, 2987-XIმს-Xმპ; 31/05/2023 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5809973?publication=0>

⁷¹ ამ ა(ა)იპ-ის დამფუძნებლები არიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საპარტნიორო ფონდი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. საიდენტიფიკაციო ნომერი: 404582527; მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია 2019 წლის 12 აგვისტოს. ინფორმაცია იხილეთ სამეწარმეო რეესტრში: <https://napr.gov.ge/ka/service/registers>

საქართველოში საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის ერთიანი მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტების არ არსებობა, ერთი მხრივ, შეუძლებელს ხდის სისტემის დახასიათებას და მას გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის რაიმე მინიმალურ საკანონმდებლო სტანდარტებს გარეშე ოპერირების საშუალებას აძლევს, ხოლო მეორე მხრივ, ართულებს მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და არასამეწარმეო სამართლის ექსპერტების მოსაზრებით, სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება და ამ მხრივ საკანონმდებლო სტანდარტების არარსებობა შეიცავს სახელმწიფო საგრანტო სისტემის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების რისკს. განსაკუთრებით საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიღმა არსებული სისტემა, პოლიტიკური თანამდებობის პირებს საშუალებას აძლევს, სახელმწიფო გრანტი მათ მიმართ ლოიალურად განწყობილ ორგანიზაციებს გადასცენ ან გამოიყენონ დაფინანსების მექანიზმი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადებითი დამოკიდებულების მოპოვების მიზნით. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სახელმწიფო გრანტის სისტემის დაურეგულირებლობა ასევე შეიცავს ფინანსური კორუფციის რისკს, რაც სახელმწიფოს წარმომადგენელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებს შორის უმართლო, პირადი სარგებლის მიღების მიზნით დადებულ გარიგებაში შეიძლება, გამოიხატოს. გარდა ამისა, ორგანიზაციათა ნაწილის მოსაზრებით გრანტის მიღების შემთხვევაში მაღალია რისკი ორგანიზაციები სახელმწიფოს მხრიდან არათანაზომად კონტროლს დაექვემდებაროს.

სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის პრობლემები საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულ იქნა 2018 წელს, შესაბამისად, მოცემული ვალდებულება ასახული იყო ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში.⁷² ეს ვალდებულება საქართველოს მთავრობამ არ შესრულა და ფორმალურად მისი შესრულების ვალდებულება ხელმეორედ ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმით აიღო.⁷³ თუმცა სახეცვლილი ფორმით, ზოგადი დათქმის სახით, სისტემის პრობლემების, რისკებისა და გასათვალისწინებელი აუცილებელი სტანდარტების მითითების გარეშე.

7.2. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების შესახებ ახალი ინიციატივა და მისი რისკები

2024 წლის სექტემბერში გაჟღერდა მთავრობის ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ, კერძოდ, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო საგრანტო პროგრამის შექმნის შესახებ. აღინიშნა, რომ აღნიშნული ინიციატივით არ უნდა დაინტერესდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც არ დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში“. განცხადებული ინიციატივიდან ირკვევა რომ მისი მიზანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, იმ ამოცანების შესრულება რომელიც „ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად“ ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ ინიციატივის გაჟღერებისას დასახელდა

⁷² ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 12 (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N537 დადგენილება) - <https://matsne.gov.ge/document/view/4364776?publication=0>

⁷³ ღია მმართველობა საქართველოს 2014-2025 წლების სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 3 (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის N555 დადგენილება) - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6059316?publication=0>

დაფინანსებას დაქვემდებარებული ისეთი მიმართულებები როგორებიცაა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციასთან ბრძოლა, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლა, შშმ პირებზე ზრუნვა, გარემოს დაცვა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.⁷⁴ აღნიშნული ინიციატივა აისახა საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში „სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის“ საბიუჯეტო პროგრამის (პროგრამის კოდი 57 13) სახით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით, 2025 წლიდან საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას, რისთვისაც შეიქმნება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა და გამოიყოფა 20 მილიონი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, ამ საბიუჯეტო პროგრამის საბიუჯეტო სახსრების განკარგვას განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.⁷⁵

ამ ეტაპისთვის საბიუჯეტო საგრანტო პროგრამის განხორციელების სამართლებრივი რეგულაციები არ არის მიღებული, შესაბამისად რეგულირების დონეზე არ არის ცნობილი მისი კონკრეტული მიზნები და ამოცანები, დაფინანსების პრიორიტეტები და მიმართულებები, გრანტის გამცემი და მაკოორდინირებელი საჯარო ინსტიტუცია, გრანტის გაცემის წესები და პროცედურები. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გრანტის გამცემი შეიძლება იყოს საქართველოს მთავრობის ან კანონის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო ან ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილი და მის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თუ მოქმედი საკანონმდებლო რეგულირებიდან ამოვალთ, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ან/და საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერი საბიუჯეტო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუცია და უნდა განსაზღვროს მისი განხორციელების წესები.

- ზოგადად აღიარებული დაშვებების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსება მეტ-ნაკლებად შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ რისკებთან, მათ შორის ასეთი რისკები შეიძლება იყოს: *ორგანიზაციის დამოუკიდებლობის შეზღუდვა* (ორგანიზაციების დღის წესრიგის უფრო მჭიდროდ მორგება სამთავრობო პოლიტიკასთან ან/და ხელისუფლების პოლიტიკურ მოსაზრებებთან);
- *ორგანიზაციაზე პოლიტიკური გავლენის გაზრდა* (ხელისუფლების ზეწოლა, რათა ჩაახშოს განსხვავებული აზრი ან შემცირდეს კრიტიკული ან ადვოკატირებაზე დაფუძნებული საქმიანობები);
- *ორგანიზაციის სანდოობის შემცირება* (საზოგადოებამ შესაძლოა ორგანიზაცია აღიქვას, როგორც მიკერძოებული, თუ ის ხელისუფლებასთან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული);

⁷⁴ რადიო თავისუფლება 2024 წელი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33112760.html>

⁷⁵ “საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 (მეექვსე ნაწილი, პუნქტი), მე-16 და მე-19 მუხლები.

- *ორგანიზაციის თვითცენზურა* (ორგანიზაციამ თავი აარიდოს ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებზე მუშაობას/განხილვას); *სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებულების გაზრდა*.⁷⁶

ზემოთ მოცემულის გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ მმართველი ძალის არსებული პოლიტიკის და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების მექანიზმის გამოყენება შეიძლება დამატებით დაკავშირებული იყოს ისეთ გამოწვევებთან და რისკებთან როგორცაა:

- *სექტორის შემდგომი სტიგმატიზება* - პროპაგანდა რომ არიან ორგანიზაციები რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფოდან და შესაბამისად „ხალხის ინტერესებს ატარებენ“, და არიან ორგანიზაციები რომლებიც უცხოური ძალებიდან ფინანსდებიან და მათ ინტერესებს ატარებენ;
- *პარალელური, ხელისუფლებისადმი ლოიალური სამოქალაქო საზოგადოების შექმნა* - სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის მოჩვენებითობის უზრუნველყოფა;
- *სამოქალაქო სექტორზე შემდგომი კონტროლის მოპოვება და მის საქმიანობაში ჩარევა* - ორგანიზაციები რომლებიც დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში“ სავალდებულო წესით იძულებით დარეგისტრირდნენ, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ უფრო მეტად შეიძლება მოექცნენ.⁷⁷

VIII. ძირითადი მიგნებები და დასკვნები

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის რეგულირება:

1. 2024 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების „გამჭვირვალობის“ უზრუნველყოფის მოტივით, მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეწოდა **ე.წ. „რუსული კანონი“**. ამ კანონმა არსებითად გააუარესა საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების საარსებო გარემო. შეიქმნა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების“ სპეციალური რეესტრი. არასამეწარმეო იურიდიული პირები და მედია ორგანიზაციები, რომლებიც წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტს იღებენ უცხოური წყაროდან ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ამ რეესტრში. არ აქვს მნიშვნელობა შემოსავლის წყაროს ქვეყანას, შემოსავლის გამცემი ინსტიტუტის სტატუსს, შემოსავლის მიღების მიზანს და საქმიანობას რისთვის მოხდა ამ შემოსავლების გამოყენება. ამ რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება ნებისმიერი მიზნის მქონე და ნებისმიერი საქმიანობის

⁷⁶ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები, CSI, 2017. https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/STATE_FUNDING_FOR_CIVIL_SOCIETY_ORGANIZATIONS_geo.pdf.pdf / Standards and Good Practices for Public Funding of Civil Society Organisations, ECNL, 2020. https://ecnl.org/sites/default/files/2020-09/TUSEV%20Public%20Funding%20Report_Final.pdf

⁷⁷ სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში, CSI, 2024 წელი. https://civilin.org/wp-content/uploads/2024/11/Review_of_Civil_space-Ge.pdf

განმახორციელებელი ორგანიზაცია, აგრეთვე ნებისმიერი უცხოური წყაროდან შემოსავლის მიმღები ორგანიზაცია, მათ შორის იმ საერთაშორისო ორგანიზაციიდან შემოსავლის მიღება რომლის წევრი საქართველოც არის. შესაბამისად, თუ ორგანიზაცია შემოსავლის შესაბამის ოდენობას იღებს უცხოური ძალიდან, ამ კანონის მიხედვით, აპრიორი იგულისხმება, რომ **ეს ორგანიზაცია ატარებს უცხოური ძალის ინტერესებს.**

2. ამ კანონის მიღებამდე, საქართველოში უკვე მოქმედებდა არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობის და გამჭვირვალობის მრავალი მექანიზმი, რაც რეგულირდება მრავალი საკანონმდებლო აქტით და დონორის მიერ დადგენილი რეგულაციებით. კერძოდ, **ეს რეგულაციები ითვალისწინებს ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და სანდოობის მაღალ სტანდარტებს.** შესაბამისად, ამ კანონის მიღებამდეც, არასამთავრობო სექტორის საქმიანობა და ფინანსები გამჭვირვალე იყო და სახელმწიფოს გააჩნდა ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, შემოსავლების, გაწეული საქმიანობისა და ხარჯების შესახებ. ამასთან, სექტორის გამჭვირვალობის მეტი სისტემატიზაციის დასაბუთებული საჭიროებისას, ამის მიღწევა შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად, უკვე მრავალწლიანი მოქმედების კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, სადაც გამჭვირვალობის არსებული მექანიზმების შემდგომი განვითარება მოხდება.
3. კანონით გათვალისწინებულია **ორგანიზაციების მასტიგმატიზებული რეესტრის შექმნა**, სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგის განხორციელების, მონიტორინგის მიზნობრივობით ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირიდან განუსაზღვრელი მოცულობის ინფორმაციის მოძიების, კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით არაპროპორციული ჯარიმების დაკისრების და სუბიექტის ამ რეესტრში იძულებითი რეგისტრაციის მექანიზმები. აგრეთვე, ამ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება გავრცელდა უკვე დასრულებულ ურთიერთობებზე (კანონის უკუძალა) და ორგანიზაციებს აკისრებს არსებითად ახალ ვალდებულებას იმ ურთიერთობისთვის რომელიც უკვე დასრულდა (2023 წლის მონაცემების მიხედვით რეგისტრაცია), რაც კიდევ უფრო ართულებს ორგანიზაციებს მდგომარეობას. **ეს კანონი მისი ბუნებიდან და რეგულირების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითად ართულებს საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების საქმიანობას და შეუძლებელს ხდის მათ მიერ დასახული იდეალისტური მიზნების მიღწევას.**
4. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყი ლახავს ორგანიზაციების რეპუტაციას და მათ მიმართ უნდობლობის ატმოსფეროს აჩენს. ამის შედეგი ორგანიზაციების სტიგმატიზაცია და მათი იმ ორგანიზაციებისგან განცალკევება წარმოადგენს, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი (ანუ ქართველი) დონორებისგან ფინანსდებიან. ბუნებრივია ეს თავის მხრივ **ორგანიზაციებს შეუზღუდავს ადგილობრივ დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობას.**
5. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების მიხედვით, გამოხატვის თავისუფლებასთან, გაერთიანების თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან მიმართებით კანონით დადგენილი შეზღუდვები **ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს.** კანონი ვერ აკმაყოფილებს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერების, ლეგიტიმურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად

დასახელება სერიოზულ შედეგებს იწვევს, ვინაიდან ის ძირს უთხრის როგორც სამიზნე ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობასა და სანდოობას, ასევე მათ საქმიანობას. **სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებული მუდმივი და მასტიგმატიზირებელი დაბრკოლებები მსუსხავ ეფექტს ქმნის.** იქმნება სერიოზული რისკი იმისა, რომ კანონი იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს შეეხება, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებენ, შესაბამისად, მათი მოცილება უარყოფითად იმოქმედებს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.

6. კანონი მოკლებულია სიზუსტეს და განჭვრეტადობას, მას გააჩნია ძალზე ფართო მოქმედების სფერო და მეტისმეტად დიდ დისკრეციას უტოვებს სახელმწიფო ორგანოებს, კანონში გამოყენებული ძირითადი ტერმინების (უცხოური ძალა, შემოსავალი, შემოსავლის უცხოური ძალიდან მიღება ინტერპრეტაციის) ინტერპრეტაციის, საფინანსო დეკლარაციაში შესატანი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების დეტალიზაციის რეგულირების, მონიტორინგის განხორციელების წესების რეგულირებისა და მონტორინგის განხორციელების კუთხით. **ასეთი ფართო დისკრეცია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მისი ბოროტად და თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობებს ზრდის, რაც შეუთავსებელია კანონიერებისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპებთან.**

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის“ მონაცემები:

7. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ ნებაყოფლობით რეგისტრაცია გაიარა სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილმა, კერძოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრში რეგისტრირებული **ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობის 1.2%**, ხოლო თუ აქტიური ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობიდან გამოვალთ მათმა მხოლოდ **12%-მა**. 2024 წლისთვის ამ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება გააჩნია მხოლოდ იმ სუბიექტებს რომელთა 2023 წლის შემოსავლების 20%-ზე მეტის წყარო არის უცხოური ძალა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, საშუალოდ ორგანიზაციების საერთო შემოსავლების აბსოლუტური უმრავლესობა უცხოური დონორის მიერ გაცემული დაფინანსებაა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობის დაფინანსების ერთადერთი წყარო უცხოური დაფინანსებაა,⁷⁸ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აქტიური ორგანიზაციების მხოლოდ მცირედმა ნაწილმა გაიარა რეგისტრაცია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში.
8. იმის გათვალისწინებით, რომ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული მოცულობითი დოკუმენტების შედგენა-წარდგენა (შესავსები და წარსადგენია დეკლარაციის 11 ფორმა), კომპლექსური და სრულიად ახალი იყო ორგანიზაციებისთვის, ექვს ბადებს ის გარემოება რომ **ამ რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების 11%-მა ამ პროცედურების შესრულების პროცესისთვის არ გამოიყენეს მაქსიმალური ვადები** და რეგისტრაციის მოთხოვნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართეს აგვისტოს პირველ ნახევარში.

⁷⁸ CSO Sustainability Indexes, United State Agency for International development (USAID).

9. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ რეგისტრაციის ყველაზე მაღალი პროცენტული (აქტიური ა(ა)იპ-ების საერთო რაოდენობიდან) მაჩვენებელი, ორგანიზაციების იურიდიული მისამართის მიხედვით, ვლინდება **ქვემო ქართლის რეგიონში**, ხოლო ყველაზე დაბალ მაჩვენებელით, ამ მხრივ გამოირჩევა მსხვილი რეგიონული ცენტრები და თვითმმართველი ქალაქები (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი). აღნიშნული შეიძლება მიუთითებდეს, სათემო მუნიციპალიტეტებში მომუშავე ორგანიზაციების საჯარო ინსტიტუციებზე გარკვეულ დამოკიდებულებაზე და მათზე უფრო მეტი ზეწოლის შესაძლებლობებზე, სათემო მუნიციპალიტეტების თავისებურებებზე, აგრეთვე ამ ორგანიზაციების ფინანსური თუ ადამიანური რესურსების სპეციფიკაზე.
10. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ რეგისტრირებული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი (10%-მდე) **ერთმანეთთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ფორმით** (ქსელური კავშირები, ფინანსური დამოკიდებულება და სხვა), რასაც შესაძლებელია ემოქმედა უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.
11. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ რეგისტრირებული ორგანიზაციების **75%-ზე მეტი მოწყვლადი ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს სხვადასხვა სერვისების მიწოდებას, აგრეთვე ხელს უწყობს სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას**. მსგავსი ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებით გართულდებოდა ამ რეესტრში ნებაყოფლობითი რეგისტრაციაზე უარის თქმა, ვინაიდან ეს გაართულებდა დამფინანსებელ/თანადამფინანსებელ საჯარო ინსტიტუციებთან ურთიერთობას ან/და მოსალოდნელი ჯარიმები შეუძლებელს გახდიდა ამ ორგანიზაციების მიერ სერვისების შემდგომ მიწოდებას, რაც თავის მხრივ დააზიანებდა სერვისის მიმღებ ბენეფიციარებს.

სამოქალაქო სივრცის შემზღვეველი კანონმდებლობა:

12. ამოქმედდა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონმდებლობა, რომელიც ვენეციის კომისიის, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციის წარმომადგენელთა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებით, **არსებული ფორმით, არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან, ზრდის სტიგმისა და წინასწარგანწყობის გამყარებისა და ჰომოფობიის წახალისების რისკებს**. ეს კანონმდებლობა პრობლემური და შემაფერხებელი შეიძლება იყოს ლგბტ თემის საჭიროებების მიმართულებით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.
13. ამოქმედდა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შემზღვეველი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს **ამ უფლების განხორციელებისას ახალ აკრძალვებს და სანქციების არაპროპორციულად ზრდას**. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი ნაწილი შეფასებულია როგორც ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შეუთავსებელი და სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გაადვილების ხელშემწყობი. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებაზე მათ მიერ შეკრების თავისუფლების კონსტიტუციური უფლების რელიზების შესაძლებლობაზე, აგრეთვე საზოგადოებრივ

ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით უფლება დაცვითი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებზე, ვინაიდან ასეთი ცვლილებები ართულებს დაინტერესებული პირის უფლებების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობებს და გარანტიებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ინიციატივა:

14. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიული, შემზღვეველი და მასტიგმატიზებული პოლიტიკის გათვალისწინებით, **სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების საბიუჯეტო პროგრამის განხორციელება არსებითად ზრდის სახელმწიფო მხრიდან ამ მექანიზმის ბოროტად გამოყენების ალბათობას**, მით უფრო რომ არ არსებობს სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების გამჭვირვალობის, მისი კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად გამოყენების საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიები.
15. არსებული გარემოსა და პოლიტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების მექანიზმი შეიძლება გამოყენებული იქნეს სამოქალაქო სექტორის უფრო მეტი სტიგმატიზაციისთვის, ხელისუფლებისადმი ლოიალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნისთვის, აგრეთვე სამოქალაქო სექტორზე შემდგომი კონტროლის მოპოვებისა და მის საქმიანობაში ჩარევისთვის.



**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების
საკანონმდებლო გარემო საქართველოში
(2023-2024 წლების ძირითადი ცვლილებები და ტენდენციები)**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი © 2025